




შეშინება

ქუთაისის ლალო მუსხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი



„გუშინდელნი?!“



უაღვა
დადიანი



- მეჩვენება, რომ სპექტაკლი თავიდან ბოლომდე, წესწყალური მასალით თუ გამომსახველი საშუალებებით - ეკლექტიკურია. რადიოსპექტაკლის გამოყენებაზე ამოცნობა საჭირო?

- კი. ფორმა ასეთი, გადაწყვეტა. პრობლემა და თემა არის მარადიული და ამის კიდევ მეტად აქცენტირებისათვის გამოვიყენე არა მარტო თამაშის ხერხი და სტილისტიკა, გადაწყვეტი, დროშიც კი დაუკონკრეტებელი ყოფილიყო. ზუსტად თქვი, რადიოსპექტაკლს მოგვაგონებს და ძველი თეატრის ასოციაციას ქმნის. ეს არის გამომდინარე სათქმელიდან და იმიდანაც, რომ ერთ-ერთი გმირი, სათაურს „გუშინდელი“, რაც რეფრენად გასდევს მთელს სპექტაკლს, ბოლოს კითხვის ნიშნით ამბობს... ანუ, ის დასვამს კითხვას, ნუთუ ის, რაც სპექტაკლში ხდება, გუშინ იყო?! სწორედ ესაა პიესის გენიალურობა, რომ ძალიან აქტუალურია, ქართული კლასიკაა, მაგრამ თავისთავად, დრამატურგიულად უცნაური ფორმითაა დაწერილი, კინოპრინციპით დაწერილ პიესას მაგონებს. ამიტომ, შესაბამისად, არაორდინალურ გადაწყვეტას ითხოვს. მე არა ვარ მომხრე, როცა უხეში ჩარევა ხდება პიესაში, მით უმეტეს, როცა საქმე გვაქვს გენიალურ ავტორთან. მაგრამ იმ ფორმამ, რომელიც ავირჩიეთ, მოითხოვს კორექტირებას, თანამედროვე ყოფის შესაბამისი ლექსიკა.

- და არა მარტო ლექსიკა, პერსონაჟების ხასიათებშიც მოხდა ერივგავარი უორიფიკაცია.

- ვცდილობთ, რომ მაყურებლისთვის ბევრი რამე ნაცნობი იყოს და ბევრ რამეზე დაფიქრდეს. ალბათ თეატრის ყველაზე დიდი მისია და დანიშნულება ისაა, რომ შენ შენს მაყურებელს მისთვის ნაცნობ თემატიკაზე

საკმაოდ გალანტურად გამოიზიარა **გიორგი**

სისხაყლიძე იმ დღეს უჩვეულოდ კარგ ხასიათზე იყო. არ იფიქროთ, თითქმის ჩვენი მმართველი გულჩახვეული და წარბაზუნსნელი იყოს, მაგრამ პრემიერის წინა დღეებში, როგორც სხვა ყველა რეჟისორს, მასაც „ხასიათს ვურჩევთ“. საფიქრალი კი მართლაც ბევრი აქვს. პირველმა წარმატებულმა სპექტაკლმა, მეორე, უფრო ხმამაღალი სიტყვა მოითხოვს. თან თეატრში შალვა დადიანის „გუშინდელი“ იდგმება.

ნაყოფიერი რეპეტიცია ბავშვით ახარებს. სცენაზე უკვე კონტურები კი არა, სპექტაკლი ჩანს. ასეთ განწყობილებაზე ჩვენწერე ქვემოთ ინტერვიუ.

გუშინდელი?!

და პრობლემაზე ესაუბრო. მით უმეტეს, დღეს ისეთი სისწრაფით გარბის დრო, სულ მაქვს შეგრძნება, რომ ადრე თუ წუთში სამოცი წამი იყო, ახლა არის 15-20 წამი. ამ დროის სისწრაფეში მეტეორივით შემოდის უცხოეთიდან უამრავი ინფორმაცია, გლობალიზაციამ მთლიანად მოგვიცვლა. ბევრი პრობლემა დაგროვდა. ეს ის დროა, როცა შენ უნდა გადააფასო, შენი, ტრადიციული, ძირძველი როგორ შეერწყას ამ პროცესებს, რომ შენიც არ დაკარგო და არც ჩამორჩე, და ის ოქროს შუალედი იპოვო, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია დღეს, სწორედ აქიდან გამომდინარე - ეს რომ უფრო ნათელი და გასაგები გახდეს, პიესაში მოხდა რაღაც ცვლილებები. თუმცა კი გული მაინც მეთანადრება. არასოდეს დამავიწყდება, ბატონი მიშა გვეუბნებოდა ხოლმე, თუ გარდაცვლილი დრამატურგის პიესას მოკიდებთ ხელს, მისი სურათი გედოთ მაგიდაზე. თვითონ კლდიაშვილის მაგალითი მოიყვანა - ერთხელ, მითხრაო, დავით კლდიაშვილმა - მიშა, რას შევბი, რას აკეთებო?!

- გეუბნებათ შალვა დადიანი რას აკეთებო, თუ არ უყურებო სურათს?

- ხანდახან. ხომ რამხელა პროცესი გავიარეთ და თითქმის ტექსტში დადგენილია ყველაფერი, სულ ვამოწმებ, რამე ზედმეტი ხომ არ არის, ბევრი რამე ხომ არაა შეცვლილი. მაქსიმალურად ვცდილობ, რომ მთავარი არსი არ შეიცვალოს. ბევრი ჩარევა ძალიან უხერხულია.

- ვფიქრობ, რომ სხვაანაირად დადგმა „გუშინდელის“ ვერც წარმოადგენიათ. ფიქრობთ, რომ შეიძლება სხვაგვარად გააყოფოს ეს პიესა?

- ძალიან ბევრჯერაა დადგმული ეს პიესა. ჩემთვის სამაგალითო ვარია, რომელმაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, იყო ბატონ თემურ ჩხეიძის რედაქციით დადგმული „გუშინდელი“. ძალიან გახმაურებული სპექტაკლი იყო. მხოლოდ მონაყოლით ვიცოდი და ძალიან გამიხარდა, როცა ნატო მურვანიძემ კასეტა მომიტანა და ნახვის საშუალება მომეცა. სხვათაშორის, ისიც გომარ სიხარულიძეს აქვს გაფორმებული. აქაც, ჩემთანაც მამა მუშაობს, რომელსაც ასევე ბევრ რამეს ვეკითხებო.

როცა ჩამონათვალს ვაკეთებ, რომელმაც სპექტაკლმა მოახდინა ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება, ერთ-ერთი პირველი არის თემურ ჩხეიძის „გუშინდელი“. მე მიმაჩნია, რომ საეტაპო სპექტაკლია ქართული თეატრის ისტორიაში. ჩვენ არა ვართ განებივრებული ბევრი კარგი ქართული პიესით და თუ ის პიესები, იგივე „გუშინდელი“, „ვერაკყვარე“, ახალი ფორმით, ახალი ხედვით არ დაიდგა, ბევრჯერაა უკვე ნაცადი და ეს საინტერესო აღარ იქნება არც რეჟისორისათვის, არც მაყურებლისათვის.

- სხევე, როგორც ახლებურად იყობება. ელასიკას სწორედ ეს უნიკალური თვისება აქვს, ყველა ეპოქის თანამედროვეა. **აბა**



და - რა თქმა უნდა. აი, ფორმაზე მაქვს ლაპარაკი - კოსტიუმი, მაგალითად. თითქმის ამოიწურა ყველა რესურსი იმისა, როგორ უნდა დადგმულიყო დადიანი იმ სერხით, იმ კოსტიუმით, როგორც იდგმებოდა ტრადიციულად. ძალიან ბევრი კარგი ვერსია იყო. მაგრამ დღეს ეს დობე, წიწაკა, აზნაურის დახეული ჩოხა-უკვე, მე მგონი, უინტერესოა მაყურებლისთვის.

- **თქვენ თქვით, რომ უორიქ-ჯირება მოხდა ჰერსონაფების ხასიათებში და ჰერსონაფულად არ ცვლით სახელებს. ასე მგონია, რომ ამას განსაჯებელი მიზეზი აქვს.**

- სახელში ხომ არ არის პრობლემა. თითქმის ყველა ძირითადი იდეა და თემა, რომელზეც იქმნება ლიტერატურა, არის ერთი და იგივე, მხოლოდ გამომსახველობითი საშუალებები იცვლება. ხომ უყვარდათ ძველ რომში, როგორც რეზო გაბრიძაძე ამბობს, ხომ ირწყვებოდა ხახვი, ისე, როგორც დღეს. ხომ იყვნენ ის ადიკო, იმ ეპოქაშიც კი რაღაც ახალი იდეების მატარებელი. პერსონაჟი არ ითხოვს სახელის შეცვლას. ის ამოვარდნილი იყო იმ დროისათვის. პრობლემა ერთია და მე მჯერა, ადიკო ასი წლის მერეც იცოცხლებს და რეჟისორები მერეც ბევრჯერ დადგამენ ამ პიესას. ახლაც ბევრ თეატრში რეპერტუარშია „გუშინდელნი“, ეძებენ რაღაც ახალს, არა ორიგინალურობის გამო, არამედ იმიტომ, რომ პიესა საინტერესოა თავისთავად და აუცილებლად რაღაც ახალ ინტერპრეტაციას ითხოვს.

- **ძალიან საინტერესოა სპექტაკლის აუტსაიდური მხარე. მეჩვენება, რომ სპექტაკლი მოლიანად, რაღაც ერთი მუსიკალური ფრაზაა.**

- მე ძალიან მიყვარს, როცა თვითონ ვაფორმებ მუსიკალურად სპექტაკლს. როცა „ანა კარენინას“ ინსცენირებაზე ვმუშაობდი, ყურში ჩამესმოდა მალერის მესამე სიმფონია, და სრული შეგრძნება მქონდა, რომ სწორედ „ანა კარენინასათვის“ იყო დაწერილი. მუსიკა მარტო განწყობას კი არ უნდა ქმნიდეს, საკუთარი დრამატურგია უნდა ჰქონდეს. ისევე, როგორც ყველა სხვა კომპონენტს. ასე უნდა იყოს მხატვრობა, პლასტიკა და ეს სინთეზი უნდა შედგეს. ესაა სწორედ ის, რისთვისაც მივიღივართ თეატრში. ვფიქრობ, აქ ძალიან საინტერესო ანსამბლია შექმნილი. მუსიკალურად სპექტაკლს აფორმებს გომარ სიხარულიძე, ჩვენ ბევრჯერ შეგვხვდნობართ შემოქმედებითად ერთმანეთს.

აქ მინდა ერთი ამბავი მოგიყვე, რეპეტიციაზე მღეროდნენ „მრავალკამიერს“ ისე, როგორც ტრადიციულად ვმღერით. არ მინდა მეთქი, იმდერეთ, როგორც პანაშვიდზე. აი, ზუსტად ესაა სპექტაკლის მუსიკალური ხმოვანება. აქ იქნება ცოცხალი ბენდი. ძალიან საინტერესო ადამიანები: ლელა ლომთაძე, რომელსაც ყველა ვიცნობთ და რომელმაც თავისი ნიჭიერება სულ ცოტა ხნის წინ კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი პატარა მუსიკალური სპექტაკლით; კოტე რობაქიძე, რომელიც ამ სპექტაკლში პირველად უკრავს გარმონზე, თუმცა ამ ახალბედობის შთაბეჭდილებას სულაც არ ახდენს. ლევან შლაპაშვილი. ის უკრავს „ნაბადში“ და სრულიად ვირტუოზულად, ამას წინათ დოქზე დაუკრა, რაც იმდენად მომეწონა, რომ სპექტაკლში დავტოვე. ლევანი საერთოდ, ყველაფერზე უკრავს. ძალიან საინტერესოა გიგა მიქაძე, როგორც ქორეოგრაფი. კახა შარტავა, რომელიც პლასტიკის ენით ქმნის დრამატურგიას და აღწევს

- ძალიან ველადგები, როცა პირველ სპექტაკლს ვდგამდი მესხიშვილის თეატრში. საბედნიეროდ, წარმატებული გამოვიდა. ახლა უფრო მეტად ვენერვიულობ იმიტომ, რომ პასუხისმგებლობაა ძალიან დიდი. ამ ხალხს ბევრი მიღწევა აქვს, ბევრი წარმატება, ერთად მოპოვებული. ძალიან კარგი პერიოდი აქვთ ერთად გავლილი თეატრში და განებივრებულებიც არიან კარგი სპექტაკლებით. მინდა, ეს განწყობა შევუნარჩუნო. ყველაფერს ვაკეთებ იმისათვის, რომ თითოეული მათგანი, თითოეული პერსონაჟი წარმოინდეს ისე, როგორც მათ ეკადრებათ და როგორც მესხიშვილის თეატრს ეკადრება. პირველი შეხვედრაა და არ მინდა, იყოს მტკივნეული და იმედგაცრუებული. სარეპეტიციო რეჟიმშიც მაქსიმალურად ვითვალისწინებ მათ მოთხოვნებს და საერთოდ, ამ ამბავს ძალიან ფაქიზად ვეპყრობი. მე ვოვლი, რომ ჩვენი შეხვედრა უნდა შედგეს.



მიზანს.

ძალიან მნიშვნელოვანია სცენოგრაფია ნებისმიერ სპექტაკლში. მართალი გითხრათ, თავიდან ცოტა გვიჭირდა ვანო სუციშვილის სცენოგრაფიული ნამუშევრის მორგება სპექტაკლის ფორმაზე, თუმცა ვანომ ყველაფერი გააკეთა, რომ მხატვრობაში იკითხებოდეს იდეა. თან თვითონ მსახიობია და შესანიშნავად იცის, რაც სჭირდება არტისტს. დეკორაცია არის მეტყველი და ზუსტად ატარებს სპექტაკლის სათქმელს.

- **ეს ჰარველი ნამუშევარია, როცა მესხიშვილის თეატრის თითქმის მთელი დასთან გზევით მუშაობთ. როგორ დაგვხდათ დასი?**

- **და ბოლოს, მე მეორეჯერ ვარ მომხსნე თქვენი სპექტაკლის შექმნის... დავუთხარი, რომ სცენაზე გადახვალს შემდეგ - ჰრემიერამდე სვერს არ აპარსავთ ეს ერიოვარი როცაღია, უარვად გაქვით დაცლილი თუ რა-ცომ?**

- რომ გითხრა, ამაზე წინასწარ ვფიქრობ-მეთქი, ტყუილია. მთელ დღეებს, ფაქტობრივად, თეატრში ვატარებ და განწყობილება, ის, რაც ხდება სცენაზე, ძიება, რეპეტიციები ჩემს გარეგნულ ფორმაზეც აისახება.

გვანცა ჯავახიძე



გიორგი სიხარულიძის

მიერ დადგმული შალვა დადიანის პიესა „გუშინდელნი“ თანამედროვე თეატრის ესთეტიკურ პრინციპებს დაქვემდებარებული, ახლებურად გააზრებული სპექტაკლია, რომელიც ასახავს საზოგადოების ცხოვრებისეულ ტრადიციებს, მისივე სოციალური-პოლიტიკური და ეკონომიკური-ზნეობრივ ცვლილებებთან ერთად. მოქმედების მიმდინარეობის გადამწყვეტად ჯერ დახურულ და შემდეგ ღია სცენურ სივრცეში ამ კონტექსტის გამძაფრების სიმბოლური ხერხი და რეჟისორული ამოცანაა. თეატრალურ სინთეზში გაერთიანებული ყველა მთავარი თუ დამხმარე კომპონენტი, კლასიკად მიჩნეული ნაწარმოებებით გადმოცემული იდეური ჩანაფიქრის თანამედროვედ წაკითხვის მიზანს ემსახურება. სპექტაკლის გამომ-

სახველობით საშუალებათა ანსამბლში, სადაც თითქმის თანაბრადმნიშვნელოვანი ფუნქცია ენიჭება დრამატურგიას, მხატვრობას, მუსიკას, მსახიობის ოსტატობას, რეჟისურას, ერთ-ერთი საგულისხმო დეტალია პლასტიკა. რიგ სცენებში იგი ითავსებს საღაპარაკო ენის ფუნქციას და კინეტიკურად გამოხატავს ცალკეული პერსონაჟის თუ ჯგუფური სცენების სულიერ განწყობილებას. პლასტიკური სცენების და სცენური მოძრაობების იდეური დატვირთვის გათვალისწინებით, შემთხვევითი არ გახლდათ რეჟისორისეული არჩევანი, რომელიც გიორგი სიხარულიძემ ამ დარგის ერთ-ერთ წარმატებულ ახალგაზრდა წარმომადგენელზე შეაჩერა. მისი სახელია **იანუხარ უნაშუაუ.**

მიმოიწიამოვან - ჟიჟიჟი ჯა პიიიიიი...



ბახტინი მართლმაც პორტრეტულ ნიუანსებზე რომ წარმოდგენა შეგვექმნათ, ჩვენი ვრცელი საუბრიდან ზოგიერთი დეტალის თქმისთვის თანამიმდევრობაში მოუბრით თავს:

- დაიბადა 1980 წლის 6 სექტემბერს თბილისში
- ბავშვობის პირველი გააზრებული თეატრალური შთაბეჭდილება - მ. თუმანიშვილის „ჩემი პატარა ქალაქი“
- პროფესიული თეატრალური განათლების პირველი საფეხურები - ხელოვნების კოლეჯი და „პარტიის ბაღის“ თეატრალური სტუდია; „ცეტები“ (ხელმძღვანელები გ. სიხარულიძე, კ. ლეკიშვილი)
- უმაღლესი პროფესიული განათლება—საქართველოს კულტურის ინსტიტუტის დრამისა და კინოს მსახიობის სპეციალობა.
- პირველი ნაბიჯები მიმოდრამაში—კახა ბაყრაძე და „მოძრაობის თეატრი“.
- პირველი სერიოზული როლი და წარმატება მიმოდრამაში—რიჩარდი შექსპირის „რიჩარდ III“-ში

● პირველი შეხვედრა მესხიშვილის თეატრთან და პლასტიკით სპექტაკლის გაფორმების პირველი შემოთავაზება—გ. დოჩანაშვილის „გაბერაშვილი“ რეჟისორი თორნიკე მარჯანაშვილი
...და სულ ცოტა ხნის წინ კახა შარტავა ქართველმა მაყურებელმა უფრო ახლოს გაიცნო 2007 წლის სატელევიზიო პროექტით „დასი“.
რამ მიიყვანა 27 წლის ხელოვანი „რეალითი შოუში“ მონაწილეობის გადაწყვეტილებამდე?... ამ შეკითხვის მძიმე-შედეგობრივ კავშირებზე უმჯობესია საყუთრივ მას მოუსმინოთ. გარწმუნებთ, მისი პორტრეტული დახასიათების გასაღებიც სწორედ ამ კითხვის პასუხშია.

... რატომ „დასი“?

ეს არც უბრალოდ ცნობისმოყვარეობა იყო და არც მხოლოდ გამარჯვების ჟინი. „დასი“ მონაწილეობით დაეუფლე კლასს, ოსტატობას, რომელიც როგორც პაერი, ჟანგბადი, ისე მჭირდებოდა მიმოდრამის მსახიობს დრამაში დასაბრუნებლად. ეს დაბრუნება კი ჩემთვის იყო ხანგძლივი, რთული პერიოდი, საკუთარი თავის ძიებაში და მოლოდინში განვლილი.

უფრო გასაგები რომ გახდეს?...

...ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი, როცა გერმანიიდან ჩამოვიდა კახა ბაყრაძე და ჩამოაყალიბა „მოძრაობის თეატრი“. სპექტაკლში „რიჩარდ III“-მე შევასრულე რიჩარდის როლი. ეს იყო მიმოდრამა და ჩემი პირველი ნაბიჯები პლასტიკაში. ხუთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა უწყვეტი ტრენაჟი, დილიდან ღამემდეგ. თავიდან, თითქმის ვერც ვხე-

ბოდი რას ვაკეთებდი, მაგრამ ერთ რეპეტიციაზე უეცრად ზუსტად დავეჭირე რას ნიშნავდა მიმოდრამის ხელოვნება და მივხვდი, რომ ეს იყო ბოლომდე ჩამყვლი. სპექტაკლი მაყურებელმა არაჩვეულებრივად მიღო. წარმატებას მოჰყვა გასტროლები როსტოვსა და ერევანში. მართალია, მაშინ მე ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი და ბოლომდე ვერ ვაცნობიერებდი რას ვაკეთებდი, მაგრამ მოქმედებაში ეს არ იგრძნობოდა, პირიქით. გადაჭარბებებში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ ფანტასტიკურად გაეფართოვოთ თავი შესრულებას. ეს არ იყო მხოლოდ პლასტიკა. ეს იყო დრამაც. დიდ როლს თამაშობდა იმპროვიზაცია, მიმიკა, თვალი. ჩვენ თითქმის თოჯინებიც ვიყავით. მაშინ მიმოდრამა ჟანრობრივად სიახლე იყო, მაგრამ შესრულება რომ სათანადო ამ ყოფილიყო, წარმატება არ შედეგდებოდა. მას-სოვს 10-წუთიანი პაკლონი გვექონდა. მე მთლიანად და ბოლომდე მივენდე ამ როლს,

მივიღე, გავითავისე, განვიცადე, ფსიქოლოგიურად ისე დაეიძაბე, რომ რაღაც მომენტში შემეშინდა კიდევ. მე არ მქონდა ის კლასი, რომ გამომეთვალა, სად უნდა გაეჩერებულყავი.

„რიჩარდ“ მოჰყვა მეორე სპექტაკლი, დრამატული ცირკი „მიმიკრია“. აქ ჩემი ამოცანა იყო ურთულესი ტრიუკების შესრულება. ერთი საათის განმავლობაში მოქმედება მიდიოდა გალიაში. ვთამაშობდი ჯამბაზს. მიწაზე ფეხს ფაქტიურად არ ვდგამდი. ვარჯიშით დადილობი, ღამე როცა ვწვებოდი, ვაცნობიერებდი: იქ რომ ოდნავი უზუსტობა მომხდარიყო და თუნდაც რამდენიმე მილიმეტრით დაბლა დავეწვი იმათ, ვისაც ფეხებით ვეჭირე პაერში, ალბათ, თავის ქალა წამეცლებოდა. ახლა ხომ ასეთ რისკზე არ წავალ. იქაც ასაკი მიზიძვებდა ასეთი სიგეჟები მეკეთებინა...

ოთხწლიანადნახევარი მიმოდრამაში. ეს იყო საკმარისზე მეტი დრო. იგი ითხოვდა უდიდეს გამძლეობას, ფიზიკურ ძალას, მუდმივ ვარჯიშს, არ შეიძლებოდა გაჩერება, დილიდან ღამემდეგ. დაედოლით მთასეულელებთან, ბატუტზე, აკრობატებთან... სხვა არაფრისთვის დრო აღარ მრჩებოდა და მივხვდი, რომ დამაკლდა სიტყვა. ყოველთვის ვგრძნობდი, როგორ მჭირდებოდა იგი, ენაზე მოდიოდა, იოგებს ძაბავდა, უნდა წარმომეთქვა და ... როგორც მუნჯს, მთელი დატვირთვა თვალზე გადავქონდა. შევიძინე ძალიან ბევრი, მაგრამ იმასაც მივხვდი, რომ მეტს ვეღარ შევიძაბებდი და წამოვედი „მოძრაობის თეატრიდან“. ამის შემდეგ იყო პატარა როლები, გამაღვივებდა სიტყვის და პლასტიკის დაკავშირება და დაერწმუნდი, როგორ მჭირდება მსახიობს პლასტიკა, ვაღიარე, რომ ის ყველა მსახიობისათვის აუცილებელი საშუალებაა. მაგრამ ჩემთვის ოსტატობამდე კიდევ ბევრი იყო გასაუფლო. ერთ-ერთ სპექტაკლში მოხდა ის, რამაც ძალიან შემაშინა და დამაფიქრა. ეს იყო გიორგი სიხარულიძის სპექტაკლი „არჩევანი“ ცვლილებების თეატრში. სიტყვას წამოყვა მიმიკა. ეს იყო საშინელება. შემეშინდა არ დაეშტამპულიყავი. მიმიკა, რომელიც გამართლებული იყო მიმოდრამაში, სპეციფიური და მიუღებელი გახდა დრამისთვის. სპექტაკლის წარმატების მიუხედავად, ვთვლი, რომ



ჩემი პერსონაჟი ამის გამო ჩავარდა. ამან დამაკომპლექსა და... გავითიშე თეატრს. წავედი საქართველოდა და ოთხი წელი ვმუშაობდი თურქეთში შოუ-ბის ორგანიზატორად. პერიოდულად მიწვევდა ჩამოსვლა. ჩამოვეყალიბე ჩემი „მიმოვრტყდა“. ვდგამდი ნოველებს და ამ პროგრამით დამყავდა ჩემი დასი თურქეთში, სადაც დავყავი გარკვეული ხანი.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ერთ დღესაც, ბატონი გიორგი სიხარულიძე მეუბნება, რომ „ქუთაისის მესხიშვილის თეატრში რეჟისორი თორნიკე მარჯანიშვილი დგამს გ. დოჩიაშვილის პიესას „ვატერპოლო“ და პლასტიკაში შენ უნდა გააფორმო...“ მე დავუსვი ჩემს თავს შეკითხვა და იქვე გავეცე პასუხი: ბატონმა გიორგიმ რადგან თქვა, ესე იგი შემიძლია!

ბატონმა გიორგიმ ძალიან ბევრი გააკეთა ჩემთვის და მე მთელი ცხოვრება მისი მადლიერი ვიქნები. 14 წლის ასაკიდან, როცა მე მივედი არტოს ბაღში, სადაც დამხვდა არაჩვეულებრივ გარემო, შესანიშნავი ადამიანები, რომლებიც დღეს ჩემი მეგობრები არიან, სადაც დავყავი სუთი წელი, ვითამაშე სუთი სპექტაკლი, გიორგი სიხარულიძე ჩემი პედაგოგი, მეგობარი, გვერდშიმდგომი, ჩემი პროფესიული საქმიანობის შემფასებელი და გამზიარებელია. მე მივედლე მის შემოთავაზებას და ასე აღმოვეჩნდი ქუთაისში. გვარი მარჯანიშვილი, თეატრი მესხიშვილის, ბატონი გიორგი სიხარულიძე და... იქ უნდა წავიდე, ვიმუშაო დრამის მსახიობებთან, პროფესიონალებთან, გავეფორმო სპექტაკლი, სადაც მთელი სცენები მიდის ბასეინში. წავედი და, შეიძლება ითქვას, არაჩვეულებრივად გავისწავნი. დიდი ხნის პაუზის შემდეგ გადავდგი პირველი ნაბიჯები. დამხვდნენ შესანიშნავი არტისტები, რომლებიც გამოყენებდნენ ბოლომდე. მე შევეცადე მათი შესაძლებლობებისთვის მომერგო ის სერსები, რომელთა საშუალებით უნდა მიგვეღო სასურველი შედეგი. გამოვიდა ძალიან ლამაზი სპექტაკლი, სცენა იყო ულამაზესი. გული მწყდება, რომ ეს სპექტაკლი აღარ იდგმება. შემდეგ იყო ბატონი გიორგის სპექტაკლი, ქეთი პატარაიას პიესა „ხვალ შობა“, რომელი ცვლილებების თეატრის პროექტით კინოს მსახიობთა თეატრში დაიდგა.

გარკვეული დროით ისევ მომიწია სახლვარგარეთ წასვლა...

დამიკავშირდნენ ბატონი ლევან ხეთაგური, რომელსაც ნანახი ჰქონდა ჩემი „რიჩარდი“, ბატონი სანდრო მრეველიშვილი და მითხრეს, რომ ნორვეგიაში სჭირდებათ არტისტი, რომელიც უნდა ფლობდეს პლასტიკას და ინგლისურს. გავემგზავრე და მივიღე მონაწილეობა ერთთვიან პროექტში სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად. ეს იყო სპექტაკლი საზღვრებს გარეშე: იწყებოდა ქუჩაში, გადავადგილდებოდით ავტობუსით, გრძელდებოდა მიწიქვეშა გადასასვლელში და მთავრდებოდა თეატრში. მიუხედავად იმისა, რომ ყველა მონაწილე ჩემს გარდა, რომელიმაც თეატრს წარმოადგენდა, რაც თავისთავად გულისხმობს სკოლას, ის, რაც უნდა გაკეთებულიყო იყო ძალიან მარტივი, სავარჯიშო კიდევ უფრო მარტივი. რაც მე, როგორც თეატრალს არაფერს მმატებდა, თუ

არ გამოვიცხავთ ურთიერთობებს და ინფორმაციას.

დავბრუნდი საქართველოში და ჩემმა მეგობრებმა დამხვედრეს ამბავი, რომ ტრიალებდა რეკლამა და იწყებოდა რეალითი-შოუ „დასი“. გამარჯვებული სდებოდა რუსთაველის თეატრის დასის წევრი.

ისევ კითხვები საკუთარ თავთან... რომ გავიმარჯვო, მზად ვარ ვიყო რუსთაველის თეატრის არტისტი?

... იგივე რომ განმეორდეს, რაც არჩევანში?

მაგრამ ვგრძნობდი, რომ „დასი“ მოეხვედროდი. ამ დროისათვის მქონდა საკმარისი გამოცდილება, რამაც შემმატა საკუთარი თავის რწმენა.

შევიტანე საბუთები და... მოვხვდი „დასი“.

პირველივე სპექტაკლი „ნიცა“ აღმოჩნდა ჩემთვის წარმატებული. ამაში ძალიან დამეხმარა ქალბატონი ნანუკა ხუსკივაძე. იქ მომესხნა ყველანაირი კომპლექსი.


ვითამაშეთ სულ 11 სპექტაკლი ორთვე-ნახევრის მაძილზე. განსაკუთრებული ჩემთვის იყო ორი პერსონაჟი „ნიცაში“ მე ვიყავი ადამიანი გიჟი, რომელიც გალაკტიონის „იისფერ თოვლს“ ვკითხულობდი, როგორც პროზას და ეპიკურადი ამას ჩემოდანს. მეორე იყო თეოფილე - სული, კაცი მოწოდებით პოეტი და პროფესიით რკინიგზელი. ამ „სულს“, რაღაც მონაკვეთში, ჩაუსვეს პლასტიკის ეპიზოდი და მე პლასტიკაში ვაკეთებდი თეოფილეს ცოლის სულის წაყვანას ამ ქვეყნიდან. სპექტაკლის ბოლოს კი კოტრიალით ვვრდებოდი სცენიდან და ვარდებოდი პარტერში, რაც იკითხებოდა, როგორც გაქრობა. ამ ორი წარმატებული პერსონაჟით მე მიხვდი, რომ დავბრუნდი დრამაში. მივიღე უზარმაზარი გამოცდილება; შეხება მქონდა ორ დიდ პროფესიონალთან, ბნ რობერტ სტურუასთან და ქ-ნ ნანა ხუსკივაძესთან. ოთხი წელი ინსტიტუტში არ მიმიღია იმდენი, რაც მივიღე ამ ორთვენახევრის განმავლობაში „დასი“! მე ვისწავლე როლზე მუშაობა, პერსონაჟის პოვნა, ჩემს წინ გაიხსნა კარები, მანამდე გაუხსნელი, ძებნა, მიგნება, გემოვნება... ფინალური სპექტაკლი და ხანმოკლე ურთიერთობა სტურუასთან, ალაბთ ეს ყველაფერი ანაზღაურებდა ჩემთვის დაკარგულ იმ სუთ წელს; კიდევ ვიმეორებ, ეს იყო ჟანგბადი, ჰაერი, ენერგია, რომელიც ასე მჭირდებოდა. „დასი“ გავაკეთე ჩემი ფოტოგამოფენაც, რომელიც ასევე ძალიან მოიწონა ბატონმა რობერტმა და ეს იყო უზარმაზარი სტიმული. ამიტომ, მე არ ვნანობ, რომ მომიწია პროექტის

დატოვება, რომ დავჯექი აუტასიდერის სკამზე, არ ვნანობ ჩემგან წამორთქმულ არცერთ სიტყვას. არ ვნანობ, რადგან გარეთ გამოსვლის შემდეგ დამხვდა ძალიან დიდი სიყვარული ხალხის და რაც მთავარია ვიპოვე სხვა კლასი, სადაც მჭირდება მიმოდრამა - ვიყენებ მიმოდრამას და სადაც მჭირდება დრამა ვიყენებ დრამას. მართალია, გარკვეული დროით მიმოდრამამ ჩამომაშორა დრამას, მაგრამ „დასი“ მასწავლა იქედან აქ გადმოსვლის კლასი. ამჟამად, რუსთაველის თეატრში ვითამაშებ ბატონი რობერტს სტურუას და გიორგი ქავთარაძის პიესაში „ბრალდება“, რომელიც დღე-ღამე ნანუკა ხუსკივაძემ. ასე რომ, „დასიდან“ მივიღე იმაზე მეტი, ვიდრე შეიძლებოდა მეფიქრა. და საკუთარი თავის რწმენაში გაძლიერებას ვუმაღლი ქ-ნ ნანუკა ხუსკივაძეს.

დღეს ქუთაისში ვარ. ყველანაირი ვერსიების შეჯერება ხდება რეჟისორთან შეთანხმებით, ენახულობთ, ვაფასებთ და ვორჩევთ. ძალიან მიხარია, როცა ჩემს მიგნებას იზიარებს რეჟისორი, ან მსახიობი და შეთანხმება, რადგან ვთვლი, რომ ჯერ კიდევ არა მაქვს ის ასაკი და გამოცდილება, რომელსაც თან ახლავს თავდაჯერებულობა და აზიციცა. ვმოქმედებ ერთად, ვიცი, რომ ვარ მთლიანობის შემადგენელი ნაწილი, ვმუშაობთ მშვიდად, მაგრამ გარწმუნებთ, გამტარი ვარ თხუთმეტი ათასი ვოლტი დენის, თხემით-ტერფამდე, ყველა უჯრედში, და ვცდილობ ეს მუხტი გადავცე არტისტებს, რომელთა წინაშე ვგრძნობ უდიდეს პასუხისმგებლობას და რომლებთან მუშაობით განვიცდი უდიდეს სიამოვნებას.

... პროგნოზი???

ამ ეტაპზე დანამდვი-ლებით ვიცი, რომ იქნება, რაღაც - ახალი უჩვეულო და არაჩვეულებრივი. მაყურებელი ამას მიიღებს და დარჩება აღფრთოვანებული.



P.S. კახაბერ შარტავასთან საუბრის შედეგად გავიცანი თეატრზე და პროფესიაზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანი, გამორჩეული განსაკუთრებული თავმდაბლობით, კეთილშობილებით, მოკრძალებით, საკუთარი თავისადმი მიმთხოვნელობით, პროფესიულ სიღრმეებში ნდობით და პასუხისმგებლობის მაღალი შეგნებით და რაც მთავარია ოსტატობით. ამიტომაც გამიჩნდა სურვილი მკითხველისა და მაყურებლისათვის იგი უფრო ახლოს გამეცნო, მით უფრო, რომ მესხიშვილისა თეატრის მორიგ პრემიერაში მის ნამუშევარს ჯეროვანი წვლილი მიუძღვის.

ქატიკან მამუკალაშვილი




„თამარ ჯეფერი“ ზეპირი, კარგი ჯიქნები!

— შალვა დადიანის პიესაში „გუშინდელი“ რეჟისორმა გიორგი სიხარულიძემ ქართული კლასიკის თანამედროვედ წაკითხვის მიზნით წაშალა ეპოქალური საზღვრები და ნაწარმოებს სტილისტურად ახლებური ფერადობა მიანიჭა. როგორ გადაწყვიტეთ იგივე ამოცანა თქვენ მუსიკის საშუალებით და რა იყო მთავარი ამ შემთხვევაში.

— ქართული კლასიკური დრამატურგიის ისეთი შედეგები, როგორებიცაა „გუშინდელი“, „ყვარყვარე“, ყველა დროში თანაბარი სიმძაფრით იკითხება და აღიქმება, რადგან მათში მარადიული თემებია განზოგადებული. იცვლება მხოლოდ სამეტყველო ენა, რომელმაც სათქმელი დროსთან შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს, გასაგები და მისაღები გახადოს იმ აქტუალობით, რაც ავტორისეულ ჩანაფიქრშია ჩადებული.

ჩემი ამოცანა გახლდათ ორი კონტექსტის: მარადიულის და ცვალებადის შეკავშირება და ამ შერწყმით დრამატურგიული მუსიკალური თემატიკის შექმნა. გაბმული ბანი არის უსასრულობის, უკიდევანობის ამსახველი ფონი, რომელზეც მონაცვლეობენ ქართული თუ უცხოური სტილიზებული მუსიკალური თემები. მთავარი თემაა საქართველო, რომლის სახესთან თემატურად დავაკავშირე სვანური სიმღერა „თამარ დედფალ“. მას მივანიჭე basso ostinato-ს ფუნქცია, რომელზეც სხვადასხვა შრეებზე მონაცვლეობით შემოდიან რუსული, იტალიური, ფრანგული, ებრაული თემები. ასე იყო მარადიულად. ვინ არ მოდიოდა ამ დალოცვილ საქართველოში, მაგრამ „თამარ დედფალით“ ვიყავით, ვართ და ვიქნებით! ვიყენებ „მრავალჟამიერს“, რომელიც ქალის უსიცოცხლოდ, უდიდამოდ. თქვენ ვერ იტყვით ეს რომელი მრავალჟამიერია, რადგან თქვენ ის არასდროს მოგისმენიათ, მაგრამ... სიტუაციაა ასეთი. მუსიკალური შთაბეჭდილების უშუალოდ მეთად გამძაფრების მიზნით უპირატესობა ცოცხალ შესრულებას მივანიჭე. მსახიობების მონაწილეობით შევქმენით ჯგუფი ვიოლინოს, აკორდეონის, გიტარის, კონგოების შემადგენლობით. ყოფილი სცენების განწყობა,



ბის შესაბამისად ისინი ერთგვრიან მოქმედებაში. ამ დანიშნულებით სპეციალურად შევარჩიე პოპულარული თემები, გამარტივებული, სახეშეცვლილი, რომლებიც ჩვენი ყოველდღიურობის ფონს ქმნიან. ყოველივე ეს არაორგანულია ჩემთვის... თუმცა ესეც დღევანდლობაა... მელოდიები მსახიობებისთვის ტექნიკურადაც იოლი შესასრულებელია, მაგრამ საკმაოდ მუშაობა დაგვჭირდა.

კარგად გაართვეს თავი მსახიობებმა: კოტე რობაქიძე (აკორდეონი), გიგა მიქაძე (გიტარა). მათ პქონდათ დაკვრის გარკვეული ჩვევები, მაგრამ მოუწიათ სერიოზული ვარჯიში. თანდათან, ალბათ, მათი საშემსრულებლო ტექნიკაც დაიხვეწება. დასარტყამ საკრავებზე სპეციალურად მოვიწვიეთ ლევან შლაპაშვილი, ნიჭიერი მუსიკოსი, პროფესიონალი, რომელზეც ბევრადაა დამოკიდებული მიზანსცენების მეტრო-რიტმი და მაჯისცემა. ლელა ლომთაძეც პროფესიონალია, შეუძლია იმპროვიზირება ვიოლინოზე.

— მსახიობებისთვის აუცილებელია მუსიკის და პლასტიკის უნარ-ჩვევების ფლობა. რამდენად შეესაბამება თეატრის რესურსი ამ ნაწილში თქვენს მოთხოვნებს. კმაყოფილი ბრძანდებით მუშაობის შედეგით?

— მომავალი მსახიობისთვის თეატრალური ინსტიტუტის ოთხწლიანი სასწავლო გეგმა განკუთვნილია იმისთვისაც, რომ მან, ძირითად პროფესიასთან ერთად, ისწავლოს ხმის ფლობა, სიმღერა, თუ ამას საჭიროება მოითხოვს. თან სირთულე იმაშია, რომ ჩვენთან ერთხმად სიმღერას ვერ იმღე-

რებ, მრავალხმიანი მღერა გვახასიათებს. თეატრში, მეტნაკლებად, ამის საშუალება არის, მაგრამ მაინც აუცილებელია მეტი მუშაობა, რადგან კარგახანია სპექტაკლები დატვირთული არ ყოფილა ამ მხრივ. ზერელე დამოკიდებულება აღარ არის საკმარისი. ისე, როგორც სამსახიობო ოსტატობა, აუცილებელია სასიმღერო ოსტატობა, სცენური ოსტატობა, მაღალ დონეზე შესრულებული, რასაც პქვია სხეულის ფლობა, ტრიუკები... საერთოდ, ვთვლი, რომ თეატრში უნდა იყოს საამისოდ საათები გამოყოფილი, ახალგაზრდები მაინც, ძალიან უნდა დაიტვირთონ ამ მუშაობით. უნდა იყოს მუსიკის გაკვეთილებიც. ასეთი ტრენაჟის გარეშე მსახიობი ვერ დაიხვეწება, არადა, ეს თანამედროვე თეატრის მოთხოვნებია...

— პროგნოზი?

— როცა გავეცანი გიორგის ჩანაფიქრს, უყოყმანოდ დაუთანხმდი. რომ არ მიმეღო ეს მისეული გადაწყვეტა, ვეტყვოდი, რომ ჩანაწერებით გაეფორმებინა, მაგრამ გავიზიარე და მეც რთულად შევეჭიდე ჩემი ამოცანების გადაწყვეტას. ეს სპექტაკლი ჭეშმარიტად რეჟისორის სპექტაკლია. გიორგისთან მუშაობა რთულიცაა და იოლიც. მე მასთან უკვე მესამე სპექტაკლს ვაკეთებ. მან ზუსტად იცის როლის და რატომ გჭირდებათ. ამ ინტუიციამ, ალბათ, ხელს ისიც უწყობს, რომ ის კარგი მუსიკოსია. ამ სპექტაკლში ყველა კომპონენტი რეჟისორიდან იმართება. ყველა დეტალს სიმბოლური დატვირთვა აქვს და ამ ერთობლიობაში სათქმელი არის ერთი. არსებობს მსახიობის სპექტაკლი, როცა ჩვენ ველოდებით ფეიერვერკს სამსახიობო ხელოვნებიდან. მესხიშვილის თეატრს ამ კუთხით დიდი ისტორია აქვს, დიდი მსახიობები თამაშობდნენ ამ სცენაზე... მაგრამ, როცა რეჟისორის სპექტაკლზეა საუბარი, აქ ტვინის განძრევაა საჭირო, უნდა იფიქრო და წვდომაში წახვიდე, მაყურებელი კი ცოტა გაზარმაცებულია. ამიტომ რთულია პროგნოზის გაკეთება, მაგრამ აქ გადაწყვეტაა ისეთი, რომ მე მგონი მიიღებს მაყურებელი.



მიიტვიტ - გემრიელი ჭეყანაა!

იონანი ხუციშვილი—პროფესიით მსახიობი, მაგრამ თეატრალურ წრეებში მას იცნობენ, როგორც მრავალმხრივ ნიჭიერ ხელოვანს, საინტერესო მიგნებებით თეატრალურ მხატვრობაში, რეჟისურაში, ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. გაფორმებული აქვს რამდენიმე სპექტაკლი, დადგმული—რამდენიმე საინტერესო ლიტერატურულ—შემეცნებითი წარმოდგენა. ერთ-ერთი მათგანის პრემიერა, „ეს რა წიგნი ყოფილა“, ზვიად გამსახურდიას „გვეხსიტყავოს“ სახის მეტყველების მიხედვით, ქალბატონ ელდინო სალარაძის მონაწილეობით, სულ ახლახან, 14 აპრილს შედგა თეატრი „ვერიკოს“ სცენაზე. საკუთარ თავზე მოკრძალებული წარმოდგენა აქვს, მაგრამ თეატრალური მას ენდობიან, იწვევენ. თელის, რომ ის ჯერ კიდევ ძიებაშია და ეს ნაბიჯებიც ძიების პროცესია გარკვეულ ასაყამდე, ვიდრე საბოლოოდ გამოიკვეთება მისი პროფილი.

ქუთაისელი მაყურებელი მას იცნობს როგორც მსახიობს, გიორგი სიხარულიძის სპექტაკლებიდან „ხვალ შობაა“ და „ბამბაზიის სამოთხე“. ამჯერად მას სპექტაკლი „გუშინდელის“ დამდგმელის მხატვრის ამბულაში გაეცნობით.

იდეის ღონეზე, წინასწარ ვიცოდი, რომ ბატონ გიორგის, ქუთაისში, მეორე სპექტაკლი უნდა დაეგება „გუშინდელი“. ერთხელაც, როცა აქ ჩამოვედი, მითხრა, რომ ვიწყებ მუშაობას და იფიქრე მხატვრობაზე. არ ველოდი, თუ ამხელა სცენასთან, ამ ეტაპზე, მომიწევდა შესება. მე მაქვს გაფორმებული სამი სპექტაკლი ვერიკოს თეატრში, გიორგის სპექტაკლი თუმანიშვილის თეატრში, მაგრამ ის მაინც კამერული ატმოსფეროა. ამხელა მასშტაბის თეატრში კი არ მქონია არც საშუალება და, სიმართლე რომ ვთქვა, არც სურვილი, რადგან ამას კიდევ სხვა გამოცდილება სჭირდება. მე შევპირდი, რომ ვიფიქრებდი, მაგრამ შევთავაზე ისიც, რომ ვიქნებოდი იდეის ავტორი და მხატვრობა გაეკეთებინა სხვას. გიორგიმ ამიხსნა რა უნდოდა, როგორ, რომ „გუშინდელი“ უნდა იყოს კითხვის ნიშნით, „გუშინდელი???“ და ამით ერგებინა დღევანდლობა, დღევანდელი ადამიანების ბედი და სიტუაცია. ამან მომხიბლა და მაშინვე წამოვიდა იდეა, რომ უნდა მომეფიქრებინა მოქმედების ადგილი. ეს არ უნდა იყოს არც სოფელი, არც კონკრეტული ქალაქი ან მოქმედება ქუჩაზე. მინდა სიმბოლიკა. მით უმეტეს, რომ ამ პიესას აქვს კიდევ სხვა დატვირთვა. „გუშინდელი“ დადგა ისეთი დიდი რანგის რეჟისორმა, რომ ეს სპექტაკლი თავისი იდეით, რეჟისურით, მხატვრობით, ქართული თეატრის კლასიკაშია შესული, ბატონმა თემურ ჩხეიძემ. ვისაც ახსოვს ეს სპექტაკლი, მე მხოლოდ ჩანაწერი მაქვს ნანახი, ძალაუზნებურად გავლენის ქვეშაა, თავს გახსენებს. მით უმეტეს, თუ ამაზე აპირებ მუშაობას. არ მეგულება საქართველოში რეჟისორი, რომელიც ამ პიესას აირჩევს და არ გაახსენდება თემურ ჩხეიძის სპექტაკლი. ეს იმხელა დონის სპექტაკლი

იყო თავის დროზე და ამ გადმოსახედიდანაც, რომ თუ მართლა რაღაც განსაკუთრებული არ გაქვს მოფიქრებული სათქმელის, ფორმის თვალსაზრისით, რთულია იმუშაო ამ თემაზე. არის ისეთი პიესები, რომლებიც იმ დონეზეა დადგმული, რომ გზოჭვებს შენ, როგორც შემოქმედს, რადგან ყოველთვის წინა პლანზე მოდის ეს გენიალური სპექტაკლები.

რა თქმა უნდა, გამახსენდა ეს ყველაფერი, მაგრამ მოვიფიქრე ასე. პიესის მოქმედება უნდა მიდიოდეს ლანგარზე. ვაჩვენო გმირები, და მათი სახით ჩვენი თავი როგორ მივართვით ვიღაცას. ამ ცვალებად სიტუაციაში, ვითომ სიხლის შემოტანაში, ვითომ რეფორმებში, ახლის ძიებაში, საკმაო დრო გავიდა, რომ გადაფასო შენ და დანახო რა მოხდა ამ წლებში, რევოლუციის შემდეგ და მანამდეც. ძალიან დიდი მოვლენა იყო თუნდაც ვარდების რევოლუცია, და ყველა ვიყავით მზად, რომ რაღაც უნდა შეიცვალოს. ახლაც ასე ვართ, უნდა



შეიცვალოს, მაგრამ რომ დაგუფიქრდი, არაფერიც არ იცვლება. შენ მაინც გავლენის ქვეშ ხარ და ვიღაცისთვის ლანგარზე მირთმეული ქვეყანა ვართ. ქვეყანა ხომ აბსტრაქტული არ არსებობს. ჩვენ ვქმნით ამ ქვეყანას. სამწუხაროდ, დამოუკიდებლად არაფრის კეთება შეგვიძლია. ისევ ერთ ქებაში ვართ და ეს ქებაი ვიღაცამ უნდა ამოუროს, ვიღაცამ გვაკონტროლოს და გემართოს. სამწუხაროდ, ასეთი შთაბეჭდილება მრჩება დღესაც. გადაეწყვიტეთ, მოქმედება ევროპულ ლანგარზე მიდიოდეს და მოქმედი გმირები იყვნენ საჭმელები. მართალია, ეს ყველაფერი ცოტა გავრცელებულია, მაგრამ მე რატომღაც ასე დავინახე. თეატრში სათქმელი თუ არ გაამძაფრე რაღაც შტრიხებით, მით უმეტეს მხატვრობაში, რთულია იგი ზუსტად მიიტანო მაყურებელთან. ბატონი გიორგი დამთანხმდა, მაქვსიც გავაკეთე, მაგრამ დაიწყო კამათი იმაზე, რომ ეს ყველაფერი ძალიან პირდაპირია. აუცილებელი გახდა ქართული შტრიხის შემოტანა, რაც ქართულ კოლო-

რიტს შექმნიდა, მინიშნება, რომ მოქმედება საქართველოში ხდება და შესაბამისი ატმოსფერო დეკორაციაში. ბევრი ვიფიქრე და შემოვიტანე ხის გადანაჭერი ფესვი. ეს ის ძირია, რამაც აქამდე მოგვიყვანა. ამ გადაჭრილ ხეს თითქმის განვითარება აღარ აქვს და ამ ფესვზე დევს ლანგარი. არც ერთს არა აქვს ბუნებრივი სახე. ეს არის ჩაჟამებული, ჩაშავებული ფერი, ვერ იტყვი, რომ ეს სიძველის გამოა, ეს უფრო ექსპონატის სახედ ქცეული სიმბოლოებია. მაგრამ ფესვზე არის ერთი ყლორტი, სიცოცხლის ნიშან-წყალი, რომელიც, თუ არ მოუარე, არ გაიზრდება. საბოლოოდ შევთანხმდით. დეკორაცია რთული აღმოჩნდა მხატვრული და ტექნიკური შესრულების თვალსაზრისით.

ასევე გადაეწყვიტეთ კოსტუმის ფორმებიც. რეჟისორს კარგი ხერხი აქვს მოძებნილი. პირველ ნაწილში ლანგარი დასურულია, ადამიანები დასურულ სივრცეში იმყოფებიან. ეს არის ტრადიციული, ძველი სიტუაცია, ხოლო როცა ლანგარი იხსნება და გრენგოლში ჩამოდის, შემოდის სიახლე. ვიღაცამ მოირგო ეს, ვიღაცამ - ვერა, ვიღაცა შეწირა, ვიღაცა გაუცხოვდა ჩვენთვის. ყველა შემთხვევაში ამას ტკივილი მოაქვს. შეიძლება უცბად ვერ იგრძნო, მაგრამ 15-20 წლის შემდეგ მიხვდება, სად მოხდა ეს ყველაფერი. ტრადიციულ ჩაცმულობას ეხაცვლება ევროპული, ზოგი ვერ ირგებს. ადგილი, სადაც დგანან ღია სივრცეში, მიუღებელია მათთვის, ვერ შეგუება. საბოლოოდ წვლობენ, რომ შეეგუონ და ზუსტად ამ შეგუება-ვერშეგუების დროს აღმოაჩენენ, რომ არიან ლანგარზე... და იღუპებიან.

შეიქმნა 18 კოსტუმი. ჩემთვის მთავარი იყო ფერთა გამა. კითხვაზე - რა არის საჭმლის ფერები? - ისევ კულინარიული პრინციპიდან უნდა გამოსულიყავი, რადგან ბოლოს, როცა ლანგარი იხურება, ყველანი კერძად გადაიქცევიან.

არ მინდა მოვლენებს გაუფსწრო, მაგრამ ძალიან დიდი ენერგიაა ჩადებული და ჩანასახშივე ჩანს, რომ ყველაფერი კარგისკენ უნდა წავიდეს, სპექტაკლი უნდა შედგეს. ბევრი გაკეთდა, ეს ის სინთეზია, როცა ყველამ ერთად უნდა გაამართლოს.

გიორგი სიხარულიძეს შეუძლია შექმნას ანსამბლი, თანამოაზრეების გუნდი, კონცენტრირება გაუკეთოს ადამიანებს და მმართველთა ისინი ერთი მიზნისკენ. ეს რეჟისორისთვის აუცილებელი თვისებაა. მის დადგმულ სპექტაკლებს შორის ეს ანსამბლური სპექტაკლი არის განსხვავებული თავისი ტემპო-რიტმით, გადაწყვეტით, თამაშის ხერხით. აშკარაა, რომ სიხარულიძე რაღაც ლაბორატორიულ ცდას ატარებს და თავისთვის განსხვავებულ ამბულაში ეძებს. ეს არის პიესის მისეული ინტერპრეტაცია. რეჟისორი იყენებს იმ საშუალებებს, რომელიც სჭირდება. ტექსტი მაქსიმალურად შემჭიდროებულია, მეტია მოქმედება. სათქმელი მაყურებლის ერთ ლერქამზე უნდა მიეწოდოს. ეს სატკივარა. ფფიქრობ, ყველა დაინახავს თავის თავს ამ ლანგარზე...



საფუძვლი | მიჯვარის...

მეა ხუტუნაშვილი

ჩანსუზღიკის ღმრსუზრუზღული ურსისტი

ანზორ ხერხაძე

საქართველოს სახელსო ურსისტი

მალბატონი ევა ინ-ტერვიუზე უარზე...

- სათქმელი სცენაზე უნდა ვთქვაო! მით უფრო, ჯერ პრემიერა არ ყოფილაო. - მაინც ვითავეს და მის მაგივრად გეტყვი...

ევა ხუტუნაშვილი ახალ სპექტაკლში განსხვავებულ ამპლუაში იხილავს მაყურებელს. იგი აქაც ძალმოსილი, საბოლოო სიტყვის მთქმელი ქალია... თუმცა - ამავე დროს კეკლუცი და მამაკაცების ნერვეზი მოთამაშე.

სიახლეები ამ არტისტს არც უკვირს და არც აშინებს. საკმარისია, გაიხსენოს მისი ბოლო როლები:

ტრაგედიაზე მისული ბებო მარიაში, ელვარე სახასიათო ფერებით სახე პუპლია, აქტრისა - „სამეფო, ძველთა-ძველთაში“ ფილუმენა მარტურანო...

ღრმად მწამს, ახლაც გაიმარჯვებს მისი ნიჭი, პროფესიონალიზმი, იმპოზანტური გარეგნობა...

სოლომონის სოლომე - ამ მიხსალ-მიხსალ გა-მოთქოილ წყითლოფოში. წოგორ იმეცებენ ჯალმინები. თუნჯე ნამეცე ცროს შყრინსა და ბოლომინთი.

ტირს შალაშვილი



„გუშინდელში“ ვთამაშობ გრენგოლმს. პიესის მიხედვით ის რუსია, თუმცა ჩვენ სხვაგვარად გვაქვს გადაწყვეტილი - გაურკვეველი ეროვნებისაა, ვიღაც უცხოელია. ამდენი როლი მაქვს თანამაშები, ორმოცდაათი წელია, სცენაზე ვარ და ამ ტიპის როლი არ მქონია. ცოტა შიშის ფაქტორიც იყო, მაგრამ ისევ მაღლობა ბატონ გიორგის, რომ ხან აქედან მომიარა, ხან იქიდან, რაღაცას მიმაგნებინა. ახლა უკვე დანარჩენი ჩემზეა დამოკიდებული - თუ გავადრმავე და დავხვეწავ, სომ კარგი. თუმცა, ისეთი პირი უჩანს, სწორედ ასე უნდა მოხდეს.

მე ილბლიან კაცს ვეძახი საკუთარ თავს. ქუთაისში ვინც კი რეჟისორი ყოფილა, ყველასთან მითამაშია. როცა ახალი რეჟისორი მოდის თეატრში, ერთგვარი შიში მაინც აქვს მსახიობს, მით უფრო, რაც „ბაზაზიის სამოთხე“ ვნახე, გულით მინდოდა გიორგისთან მემუშავა. აი, გამიმართლა. ძალიან საინტერესო რეჟისორია, საინტერესო მუშაობს. მე ამანაც დამაბნია თავიდან - სათაური „გუშინდელი“ კი აღარაა, არამედ „გუშინდელი“?! კითხვამხილით. ეს ამოტრიალება მთლიანად პიესის. ძალიან საინტერესოდ აქვს მოფიქრებული, დღევანდელ დღეს რომ შეესაბამება, ზუსტად ისე. ჩვენ ხელედაკაიწებული შრომა გემართებს, რომ რეალიზება მოვახდინოთ რეჟისორის ჩანაფერის და სპექტაკლი გამოვიდეს. მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ ერთი, მეორე, მესამე წარმატებული სპექტაკლის შემდეგ, კიდევ უფრო მეტი უნდა იყოს, რომ ეს მობრუნებული მაყურებელი მსაქმელად ვაქციოთ.

მე ბატონი გიორგის ძალიან დიდი იმედი მაქვს. ალბათ, მასაც ჰქონდა ჩემი იმედი. 51 წელია სცენაზე ვარ და 217 როლი ვთამაშე. მგონი, უნდა გავაკეთო, უნდა შევძლო. მაინც იმედით ვარ, რადგან უიმედო და ურწმუნო კაცი ვერაფერს გააკეთებს.

სარდატციო რდატცი



შალვა

„გუშინდელი“



დადიანი

სამეტაპლი ერთ მოქმედებად

რეჟისორი - გიორგი სიხარულიძე

კომპოზიტორი - გომარ სიხარულიძე

ქორეოგრაფი - გიგა მიქაძე

მხატვარი - იოანე ხუციშვილი

პლასტიკა - კახა შარტავა

რეჟისორს თანაშემწე - ვახტანგ ამანათიძე

მონაწილეობენ:

მეა ხუტუნაშვილი, ანზორ ხერხაძე, დოდო ტაბატაძე, ვაჟა ოყრეშიძე, ნანი მიძაძე, ავთანდილ სახამაშვილი, ანა კოხრეიძე, თენგიზ ჯავახიძე, ინგა კაკიაშვილი, ბიგა მიძაძე, ბიზო ღელაშვილი, მამბა ბერაძე, გოჩა ნემსიშვილი, გოჩა ნიკოლაძე, ალექსო ტოროტაძე, ზვიად სვანაძე, ნიკო ჯანაშვილი, ლეო ლომთაძე, კოტე რობაქიძე, ლევან შლანაშვილი.



პრემიერა 2008 წლის
შედეგად 22-23-24 აპრილს

ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული
თეატრის თეატრის მმართველი ბიორბი სიხარულიძე





შემაჯავებელი

დოდო ტაბატაძე

ლინსაზის ორდენის კანდიდატი

სრულად განსხვავებული სცენური სახე, შალვა დადიანისეული გათანამედროვეებული ფოთოლია. ინდივიდუალიზმი, სიასლე... და ეს ყველაფერი 21-22-23 აპრილს ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრის სცენაზე, სადაც „გუშინდელი“ უკვე მეოთხედ იდგმება.

თუმცა?!

როგორც მსახიობი დოდო ტაბატაძე სახეობით აღნიშნავს, რეჟისორ გიორგი სიხარულიძესთან როლზე მუშაობის პროცესი სასიამოვნო და ძალიან საინტერესოა. ყველა რეჟისორი ინდივიდუალურ, რომელიც მხოლოდ საკუთარი, მისეული ხედვით ხედავს ნებისმიერ მსახიობს. სიხარულიძემ ტაბატაძეში მისეული „ფოთოლია“ ამოიკითხა და მსახიობიც დათანხმდა რეჟისორისეულ არჩევანს. დარწმუნებულია, რომ პრემიერა ნამდვილად წარმატებული იქნება და არა მარტო პრემიერა, სპექტაკლი, რომელიც თამაშად „შეერკინება“ რამდენიმე თეატრალურ სეზონს. რეჟისორი ყოველთვის ითვალისწინებს მსახიობის ნებისმიერ შენიშვნას და თუკი შენიშვნა საფუძვლიანია, მას ადექვატური რეაქცია მყისიერადვე მოჰყვება. მთლიანობაში კი იძერწება სცენური გმირი. საკუთარი ინდივიდუალობით, განსაკუთრებულობით დიდო თვლის, რომ გიორგი სიხარულიძე თავადაა იმდენად დადებითი პიროვნება, რომ მის ირგვლივ ბუნებრივადვე, უპრობლემოდ იქმნება დადებითი აურა.

დოდო ტაბატაძისთვის თეატრი ყველაფერია, რომელმაც იუხერსულა კიდევ შეკითხვა, - რა არის მისთვის თეატრი? - ვინც ჩემს პიროვნებას კარგად იცნობს, ამ შეკითხვას არ მისვამს. სხვები გრძნობებს ანაწილებენ მეუღლეზე, შვილებზე, ოჯახის წევრებზე, ჩემთვის კი თეატრია ეს ყველაფერი ერთად აღებული. თუმცა არც იმას ვამბობ, რომ ამ უკიდევანო ქვეყნებზე მარტოდ-მარტო ვარ. საოცრად კარგი დები, ძმა და ნათესავები მყავს. მაგრამ ის, რაც ადამიანს საკუთარი, პირადი უნდა ჰქონდეს, ეს ყველაფერი ჩემთვის თეატრშია. სამაგიეროდ, მყავს უამრავი მეგობარი, ახლობლები, რომლებიც მიყვარს, რომელთაც ვუყვარვარ და ასე, სიყვარულსა და ერთმანეთის მონატრებაში მიდის ცხოვ-

ნამოცილი შემოქმედება შემოქმედის ლიტერატორის განხილვით. თუკი წაიკითხა, შემოქმედება შემოქმედზე ადრე. მის ლიტერატორზე ან მოყვრას.

რება სვენებ-სვენებით.

პრემიერაზე უამრავი აპლოდისმენტი, ყვავილების ზღვა და მაყურებლის სიყვარული ნამდვილად გექნებათ ქალბატონო დოდო. ცხოვრება კი, ცხოვრება თავისი გზით წავა, ზოგჯერ მშვიდად, ზოგჯერაც მღელვარედ, ისე, როგორც ეს პროფესიონალ, ნიჭიერ მსახიობს და მშვენიერ ქალბატონს შეუძლების.



სამშობლო

გაუა ოყრეშიძე

საქართველოს დამსახურებული არტისტი

რამშისორი გიორგი სიხარულიძე და მე მსახიობი ვაჟა ოყრეშიძე, პირველად ვხვდებით ერთმანეთს, შალვა დადიანის პიესაში „გუშინდელი“. გმუშაობთ როლზე-პაპუნა. რა მომწონს, მისი როგორც რეჟისორის? პირველ რიგში ის, რომ სულით ქართველი რეჟისორია, წარმოშობით ქუთისიდანაა, თუმცა, თბილისშია დაბადებული და გაზრდილი. უყვარს ჩვენი თეატრი და ქუთაისი. შეუძლია მთე-

ბავშვობა ზეინი ძეგლი წაწოდა. ზეინი ყაფაპოტი. წაიღანა ყოველი განხილვით. წყარო: ილიაწა. გადმოცემულია რა - ცხელი ზაფხულში ყაფაყაზრეობით.

გიორგი შალვაშვილი

რადისობის კანონი“ - ბაჩანა რამიშვილი.

ნ. დუმბაძე „საბარალდებო დასკვნა“ - ზაზა ნაკაშიძე.

ალექსანდრე დიუმა „სამი მუშკეტერი“ - ართოსი.

შეხვედრამდე, პრემიერაზე!

პ. კაკაბაძე „ბაგრატი VII“ - ბაგრატი VII.

კ. გამსახურდია „მთვარის მოტაცება“ - თარაშემსუარი.

ნ. დუმბაძე „ნუ, გეშინია, დედა“ - ავთანდილ ჯაყელი. ნ. დუმბაძე „მა-

ნებდი როლებს, რომლებიც ძალიან მიყვარს. შანში-აშვილის „ანზორი“ - ახმა.



საქმეობა

ანა კოსტინიძე

„გუშინდელნი“

რა არს ეს?

სასიკვდილოდ განწირული ხალხის ზმანება, „პანმელიაზე“ თავდასხმული მოქმედის ძილ-ბურანი თუ სავალალო მოგზაურობა საკუთარ ქვეყანაში? ალბათ, სამივე ერთად და უფრო მაინც უკანასკნელი - მოგზაურობა ამ არეულ-დარეულ, აწეწილ-დაწეწილ საპაოში-ჩვენს სინამდვილეში, რომელიც ასეთი სიმძაფრითაა გადმოცემული გიორგი სიხარულიძის მიერ წარმოდგენილ სპექტაკლში. სპექტაკლის შინაგანი რიტმი ძალიან აჩქარებული და დაძაბულია, საკმაოდ ნერვიულიც და ესეც, რა თქმა უნდა, საგანგებოდ შერჩეული ხერხია. მოვლენები ისე მოულოდნელად იცვლე-

თუ ქაღალდის იტყობს, - სკოლი იტყობს.

გიორგი შვალაშვილი

კამელო

თამაშის თავზე უსაზღვროდ შეყვარებული, ფუქსაგატი, ფუფუნებას დახარბებული ქალია. მაგრამ ოჯახის კეთილდღეობას დარაჯად უდგას და ამას საკმაოდ ნიჭიერად ასრულებს. „ოჯახი ჩემი ციხესიმაგრეა“ - ეს კვებლას დევიზია, ხოლო იმის იქით წყალი და მეწყერი. ის ხელოვნურია ადამიანებთან ურთიერთობაში. სიარულის მანერა, საუბრის დაყენებული ტონალობა ნერვიულობის დროს ავიწყდება და უცებ იმ იმერულ კაპას ქალს ემსგავსება, რომელიც მისი ნამდვილი სახეა. ძალიან სასასი-ათო და საინტერესო სამუშაოა.

ამიტომაც, რასაც შენ ვერ ხედავ დარბაზიდან, მაყურებლის თვალსაწიერიდან იმას, ვერც ვერანაირ კომენტარს გააკეთებ, თუმცა, როდესაც სხვის რეჟისორისეულ ნამუშევარს ვუყურებ კულისებიდან, ვგრძნობ რომ საოცრად ნაყოფიერი ურთიერთშემოქმედებითი პროცესი მიმდინარეობს, ომელიც ლოგიკურ დასასრულამდე ვიმედოვნებთ სულ რამდენიმე დღეში მივა. დასასრული რომ წარმატებული იქნება, ამაში დარწმუნებული ვარ, რადგანაც ბატონი გიორგი არ არის დიქტატორი რეჟისორი.



ხელოსანობის სახე

ავთანდილ სახამბერიძე

ავთანდილ სახამბერიძის პერსონაჟი პიესაში ფანადობის პირია, მამასახლისი, რომელსაც აქვს აწყობილი ცხოვრება, ფული, საზოგადოებრივი მდგომარეობა, პრემიერადღე ათი დღით ადრე ბატონმა ავთომ როლი ზეპირად არ იცის, მაგრამ საამისო მიზეზი ისეთი ობიექტური აქვს, ვერ შეედავები. - ბატონმა რეჟისორმა რეპეტიციების მსვლელობისას იმდენჯერ გადააკეთა-გადაშალა ტექსტი, რომ შეგნებულად არ ვისწავლე, გონებაში რომ არ ჩამჯდომოდა პირვანდელი სახით და მერე სპექტაკლის მსვლელობისას არაფერი შეშლოდა. თქვენ, ნუ ნერვიულობთ, არც პრემიერაზე „წავაბორძიკებ“ ენას და არც მოგვიანებითო. დაგვამშვიდა.

დარწმუნებული ვართ ასეთ იქნება, რადგანაც მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდა თაობის აღზრდელი მსახიობ-პედაგოგი, რეჟისორი ავთანდილ სახამბერიძე ისეთივე უნაკლო და არაორდინალური მალხაზი იქნება, როგორც იგი „გუშინდელნი“ გიორგი სიხარულიძემ ჩაიფიქრა. მე თავისუფალი ვარ ყველაფერი საკუთარისგან, ჩემულისგან, მთლიანად ვენდობის რეჟისორს და ვითვალისწინებ მის ნებისმიერ შენიშვნა-მოთხოვნას, ვემორჩილები მის მიერ შემოთავაზებულ ვარიანტებს, რადგანაც ის, რასაც ბატონი გიორგი სიხარულიძე აკეთებს, სრულიად განსხვავებული სტრუქტურაა, რაღაც სხვა სპექტაკლი გამოდის.

ბელოუსოვისი ზანა. პირველი ჩივილი იმში მყოფ-ნორბა - ჩივილი უნდა აქციოს თაობის ზანა - მთხოვრავი - გავლენებით მიხედვით რომ ჰქონდეს ბელოუსოვისი. თუ იქონიერებოდა რა მოწოდებოდა თაობის ზანა რა მოწოდებოდა.

გიორგი შვალაშვილი



ბიან, ერთი შეხედვით, თითქმის ულოგიკოდ და ცერძიან ერთმანეთს, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით, თორემ ამ გაუგებარ, აუხსნელ უზნეობას საკუთარი მკაცრი ლოგიკა და თანაც, ისეთი მშვენიერი, მწყობრი ლოგიკა აქვს, შეგშურდებით კიდეც.

- გაყიდო ყველა და ყველაფერი, დაკლა და მიართვა, ღმერთმა უწყის, ვის, და ღმერთმა უწყის, რისთვის.

და ისმის კითხვა - ვინ ვართ ჩვენ? გუშინდელნი?

დღევანდელნი?

ხვალანდელნი?... და ასე უსასრულოდ...

რეჟისორი

გაფრანსწორებული, ემოციური, იმპულსური, დიდი ენერგეტიკის მატარებელი. მოვლენის სწორი ხედვა. როცა რეპეტიციას მუშაობს, იცის, რას აკეთებს, რა უნდა თქვას. და გადმოსცემს ისე, რომ ეს იყოს სანახაობა, რაც აუცილებელია თეატრისათვის, მაყურებლისათვის. ახალი ხერხებით, ახლებური გადაწყვეტით სთავაზობს ნაცნობ სპექტაკლს მაყურებელს. დიდი სიამოვნებაა მასთან მუშაობა.

რი. ჩვენ, როგორც რეჟისორი და მსახიობი, პირველად ვხვდებით ერთმანეთს სცენაზე, ერთმანეთის შემოქმედებით ურთიერთობებს „ეწონით“ (რა თქმა უნდა „მალულად“, ისე ჩვენთვის) და მისარია, რომ საკმაოდ კარგი დებიუტი ღვება თითქმის მთელ შემოქმედებით დასსა და ახალ რეჟისორს შორის. ძალიან საინტერესო სპექტაკლი გამოდის. ამას თავად მაყურებელი შეაფასებს. რაც შეეხება მსახიობ რეჟისორ ავთანდილ სახამბერიძეს, იგი 1970 წელს მოვიდა ლ. მესხიშვილის თეატრში და სცენის მუშაოდან დაიწყო მისი „მოღვაწეობა“. 1979 წლიდან დასის სრულყოფილებიანი წვერი გახდა, თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის კურსდამთავრებული. 2001 წელს კი, შედგა მისი, როგორც რეჟისორის დებიუტი. ეს გახლდათ იუჯინ ო ნილის ორ მოქმედებიანი დრამა „სიყვარული თელეგეში“. მესხიშვილის თეატრი მისი ბუდე, სახლი, სასახლე და ოჯახია, რომელიც საკუთარი სულის ნაწილივით უყვარს, ესათუთება.



ნანი მიქაძე

როლმა რადიკალური სახეცვლილება განიცადა. ჩემი, გიჟი ღელეყვას, მაგდა გერადის გმირები უფრო სიმბოლოვებია - სისუფთავის, სიწმინდის, ეროვნულობის შენარჩუნების სიმბოლოვებია. მათზე არ მოქმედებს დროის ცვლილება, შეხედულებების გადაფასება. ამ ხალხს ბოლომდე ვერ აბინძურებენ. თუმცა, ძალიან პასიურები არიან და არც ცდილობენ, პროტესტი გამოთქვან.

რალაც ახალი კეთდება, რეჟისორი -

სხელი...

სკოლი იმიტომ არ ყოფილა. რომ არ ბერძნობა

ტიჩა შალაშვილი

ურპრიზს უმზადებს მაყურებელს - ეს ცხადია. მთლიანად სპექტაკლიც სიმბოლოა, ეს ყველაფერი კი უკონფლიქტოდ, მშვიდად კეთდება, რადგან გიორგი სისარულიძე სწორედ ასეთი ადამიანია. მსახიობებებს საშუალებას აძლევს, სრულად გამოხატონ თავიანთი ინდივიდუალიზმი, ოსტატობა.

1969 წელს თამაზ მესხმა მომიყვანა თეატრში. საკმაოდ ბევრი როლი ვითამაშე - თამარ შერვაშიძე, შორენა, ირინე - „ირინეს ბედნიერებაში“, სონია - „ქამუშაძის გაჭირვებაში“, ლია - „მეორედ დაბადებაში“, ელო - „იეთიმ გურჯში“, ელისაბედი - სპექტაკლში „ჯერ დაიხოცნენ, მერე - იქორწინეს“, გოგოლა - „ურემი გადაბრუნდა“, ნუნუ ექიმი, დედა - „საბრალდებო დასკვნა“, ვირგილია - „კორიოლანუსი“, ბებია - „დარბაზის მიღმა გაზაფხულია“, ნინო - „ამიკო“...

სოდეს გადადის. არ შემოიძლია, არ აღენიშნო მისი პიროვნული ღირსებები - ან არაჩვეულებრივი ადამიანი, გადაჭარბების გარეშე ვამბობ, თავისი სირთულეებით და სიიოლით. არ მინდა, ასეთ ადამიანს, როგორც რეჟისორს - მსახიობმა, იმედი გავუცრუო. მით უფრო, მცირე შემოქმედებითი ბიოგრაფია მეც ნამდვილად მაქვს.

მესხიშვილის თეატრის მსახიობი 1996 წლიდან ვარ.

მესხიშვილის თეატრის მსახიობი 1996 წლიდან ვარ.



ქოანოა ზოვარდიაშვილი შედარებითობა. მიწოდებული ზოვარი. დ. ი. ბერძნობა.

ტიჩა შალაშვილი



ქანსიკაჰადა და პირიქით...

მაგდა ბერაძე

ტრადიციულად, სადაც კი დადგმულა ეს პიესა, აგრადინა იყო ერთი ჩვეულებრივი პერსონაჟი, გამოკვეთილად განსხვავებული სახე თითქმის არსად შეგვხვდებოდა. ამ სპექტაკლში, ბატონი გიორგის იდეაში, ჩანაფიქრი არის აბსოლუტურად სხვანაირი, სულ სხვა აგრადინას გვთავაზობს. ჩემთვის ეს როლი საინტერესო იქნება იმ თვალსაზრისით, რომ მე განსხვავებულ ამპლუაში მიხილავს მაყურებელი. იყო სპექტაკლები, როცა არ მქონდა სახასიათო როლი, მაგრამ ჩემი სცენაზე გამოჩენა მაინც იწვევდა სიცილს. აქ გიჟულური იმიჯი იმდენად შეცვლილია, სულ სხვაგვარი განწყობა გარდება. საინტერესოა ეს როლი მრავალი მიზეზის გამო - უპირველესად, რომ სახასიათო ამპლუის მსახიობი ვარ და აქ ამპლუას ვიცვლი; ისე, როგორც თვითონ სპექტაკლი სრულიად ახლებურადაა გააზრებული და თანაც, პირველად მიწვეს შემოქმედებითი შესვლად გიორგი სისარულიძესთან, რომელთანაც მეგობრობით დავიწყე ურთიერთობა. სხვათაშორის, გიორგიმ და მე, ჩვენს ოჯახებს შორის არსებული ხანგრძლივი მეგობრობა გაუგარძელებო. უმეტესწილად, პირიქით ხდება შემოქმედებითი ურთიერთობები იზრდება ხოლმე მეგობრობაში. მართალია, გიორგი სისარულიძესთან, მაგრამ ის ყოველთვის იცავს რალაც დისტანციას, რაც განპირობებულია იმით, რომ არის მმართველი, რეჟისორი, ახალი მეგობარი. ბატონი გიორგისთან ურთიერთობა ფამილარობაში არა-

ჩემი პირველი როლი იყო მართიკუნა, სპექტაკლში „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“, ამას მოჰყვა თათია - („ამიკო“), მარიცა („ფილოსოფიის დოქტორი“), წუნია („კომპლექსი“), ლაურა („ბლეზი“), თათია („აკუსტიკა“), გუცუნია („ადონის თეატრი“), ზეფორე („ლოპიანე“), მარინე („მავი სიის კავალერები“), დუნიამა („ქორწინება“), დოდო („არჩევანი მე...“), დონა როზა დალვადორესი („ჩარლის დეიდა“), კორეს-პონდენტი („მეფე ლირი, რაც მოგივა დავითაო“...) ამ პერიოდში შეგვხვდა უაღრესად საინტერესო რეჟისორებს: ნუგზარ ლორთქიფანიძეს, კახაბერ გოგოლაშვილს, თორნიკე მარჯანიშვილს, ბექა ყურაშვილს, ავთანდილ სახაშვილს, გურანდა იაშვილს, ლევან წულაძეს, სოსო ნემსაძეს.

გადადის. არ შემოიძლია, არ აღენიშნო მისი პიროვნული ღირსებები - ან არაჩვეულებრივი ადამიანი, გადაჭარბების გარეშე ვამბობ, თავისი სირთულეებით და სიიოლით. არ მინდა, ასეთ ადამიანს, როგორც რეჟისორს - მსახიობმა, იმედი გავუცრუო. მით უფრო, მცირე შემოქმედებითი ბიოგრაფია მეც ნამდვილად მაქვს.



პრემიერა

ბიზა მიქაძე

გორა ნემსიფერიძე

ჩემი გმირი - კარლო ყაყუტაძე, პიესის მიხედვით სოციალისტია. სხვათაშორის, ეს მეორე დადგმა „გუშინდელის“, რომელშიაც მე ვთამაშობ. ადრე მქონდა ჯვებზე ქოლორდავას როლი. ადრე დადგმული ყველა „გუშინდელი“ თითქმის ერთნაირი იყო თავისი არსით, თავისი ფორმით. მართალი გითხრათ, თავიდან დიდი აღფრთოვანებით არ შევხვედრივარ ამ პიესის დადგმის იდეას, მაგრამ გამოიკვეთა, რომ სრულიად ახლებურად კეთდება. პირველივე რეპეტიციიდან სულ სხვანაირი ახსნა და გახსნა დაიწყო გმირების ხასიათებისა. ეს ძალიან საინტერესოა, რადგან მსახიობი მუდმივად ძი-

ქართული. თავიდან ბუნებით. ძალიან ჭკადს ერთიანს: ყველა მითხრობს მანძი. ის კი - მხოლოდ თავის თავზე რა - ისე იგივე ჩივს.

ტირზ შალაშვილი

მიპყრო, მასთან მემუშავა და მინდა, არ გამოვიდეს სხვაზე ნაკლები, რადგან, ღვთის წყალობით, წამოვიდა სპექტაკლები, რომლებმაც მაყურებელი თეატრისკენ მოაბრუნა. იმედს ვიტოვებ, ჩვენი შემოქმედებითი ურთიერთობა გაგრძელდება, რადგან ესეც კარგად გა-

მთვლი, რომ ადიკო საინტერესო და მნიშვნელოვანი პერსონაჟია და განსხვავებულია იმ სტერეოტიპული ადიკოსგან, რაც აქამდე ყოფილა. საინტერესოა ჩემი მუშაობა გიორგი სიხარულიძესთან. საინტერესოა იმიტომაც, რომ მცირედი ქორეოგრაფიული კომპოზიციები მეკუთვნის მე. მართალია, დრო განზოგადებულია, მაგრამ მოქმედება რადგან საქართველოში ხდება, ამიტომ ქორეოგრაფიული ნახაზის შექმნისათვის ქართულ ფოლკლორს მივაკითხეთ. ვიყენებთ: „მოხეურის“, „მთიულურის“, „სვანურის“, „როკნროლის“, „ებრაულის“... რიგ ილეთებს, ჩვენეული ინტერპრეტაციით. მე მგონი, ადიკო ჩემს როლებში იქნება ერთ-ერთი საინტერესო სახე. ასევე, გამოჩენულად საყვარელი როლებია: ანტონი - „გარეუბნის მარტოსასლი“, „უმბერტო - ფილუმენა მარტურანო“, თვალთმაქცი - „ყველანი ბავშვობიდან მოვიდვართ“... „ჯერან ტვერიძე - „აქ ერთ დროს ადამიანს უცხოვრია“, პენრი დარნლეი - „მარიამ სტიუარტი“, პოლკოვნიკი ფრენსის ჩესნი - „მილიონერი დეიდა“, მოხუცი - „სიყვარულით შემოვლილი“, მოხუცი - „ქალი ქვიშაში“.



მოგვდის. აბსოლუტურად შეუძლებელი ვარ რეპეტიციების დროს, ყველაფრის მოსინჯვის საშუალება მეძლევა და მერე ერთად ვარჩევთ, რა სჯობს დავტოვოთ და რაა ზედმეტი.

ძალიან ბევრი როლი მაქვს ნათამაშები. მართალი გითხრათ, არასოდეს დამითვლია - რამდენი. პირველი როლი ამ თეატრში ბიჭი იყო, რადიკალური პიესაში „სიყვარულსა და სიკვდილში არარსებული“. მე და შაკო კიკვაძე ვიყავით დუბლები. „მარშალ ფანტიეს ბრილიანტი“ - ხეჩო, „გარეუბნის მარტოსასლი“ - ბესარიონი, „მეფე ლირი, რაც მოგივა დავითაო“ - შაკო, „სამეფო, ძველთა-ძველო!“ - ჯამბაზი, „ათვისიერებები მიმინოს“ - პირველი ბაზიერი; გიო, „დედაკაცმა თუ გაიწია“ - არისტო, „კეთილშობილი მორიელი ბა“ - მუხამაშვილი, „თეთრი ბაირალები“ - მოშიაშვილი.

ყველა როლში მსახიობი თავისი სულის რაღაც ნაწილს დებს, ამიტომ, დადებითი იქნება თუ უარყოფითი - უყვარს თავისი გმირი, იმ უარყოფითის ახსნასა და გამართლებასაც ცდილობს. მეც ასე ვარ.

ზვიად სპანაძე

როლი - ჯვებზე ქოლორდავა დაკარგული აქვს ყველაფერი, არ გააჩნია ღირსება, ფული მისთვის ყველაფერია. მასხარაა, შოუმენი და მაინც გაწირეს.

რეჟისორი — გიორგი სიხარულიძე
ჩვენი პირველი შეხვედრაა. ყველაფერს აკეთებს თეატრისთვის. ღმერთმა ხელი მოუშაროს. წარმატებებს ვუსურვებ.

მა—?
ჩემზე სათქმელი არაფერი მაქვს.

საოცრად თავმდაბალია, ამიტომაც არ საუბრობს საკუთარ თავზე, თუმცა, ძალიან ბევრი საინტერესო სცენური სახე შექმნა დღემდე.

სარედაქციო კოლეგია

ებაშია. რაც პიესაში ტექსტები აქვს ჩემს გმირს, ისინი თითქმის სრულიად შეიცვალა, სულ სხვა რამ შეიქმნა, ახლიდან „გამოითალა“ ყაყუტაძე. გიორგიმ შემომთავაზა, იქნებ ეს კარგო ენაბრგვილი იყოსო. ესეც სიახლე იყო ჩემთვის, რადგან ძალიან რთულია სცენაზე ენაბლუს თამაში, რადგან ბევრ გასაქანს არ გაძლევს. თავიდან შეიძლება შთაბეჭდილება მოახდინო, მაგრამ მერე ჩნდება იმის საფრთხე, არ განმეორდეს, არ გახდეს მოსაბეზრებელი. ალბათ, ყველა მსახიობი ასე ფიქრობს, როცა გმირის ბიოგრაფიას ქმნის. ვფიქრობ, ეს როლი გამოვა, რადგან არც მე ვაკლებ ნიჭს და უნარს და რეჟისორიც მაქსიმალურად მეხმარება. რაც გიორგი სიხარულიძე თეატრშია და ვხედავ წარმატებულ პრემიერებს, რადიკალიზმმა მსახიობურმა აზარტმა და ჟინმა შე-



პროექტი დადასტურდა

ალექსი ტორიძე

ნიკო ჯანაშვილი



დასვეწილი პლასტიკა, ზუსტი შეს-
ტები, დამოკიდებულება პარტნიორთან,
ქვეტექსტი, ოსტატობა, სიმღერა, ცეკვა
და თავისთავად, მკაფიო მეტყველება -
ეს ის კომპონენტებია, რასაც „გუშინ-
დელის“ დამდგმელი რეჟისორი ბატონ-
ნი გიორგი სისარულიძე მოითხოვს.

პირადად ჩემთვის ეს გახლავთ პირველი როლი
რეჟისორ გიორგი სისარულიძესთან. პიესის მიხედვით ჩემი
გმირი ჯობს სპექტაკლში ოპოზიციას წარმოადგენს, რომ-
ლის სიცილნარევი ფრაზებიდან მაყურებელმა ნათლად
უნდა დაინახოს მისი პიროვნება. შავ სამყაროში კარგად
გარკვეული პერსონაჟი, სიცილ-ხარხარით ამბობს მწარე
სიმართლეს. რეჟისორის გადაწყვეტით, სპექტაკლში არ
არსებობს ე.წ. „ვირუბა“. გათამაშების ხერხითაა გადა-
წყვეტილი სურათიდან - სურათზე გადასვლის მომენტები,
დეკორაციისა და რეკვიზიტების გადაადგილება, რაც მა-
ყურებელს ერთი წამითაც არ აძლევს მოდუნების საშუა-
ლებას. რაც შეეხება პიესაში დაკავებულ მსახიობებს, მთე-
ლი სპექტაკლის მსვლელობისას, სცენას არავინ ტოვებს;
რაც ერთგვარად დიდ მობილი-
ზაციას ითხოვს თითოეული პერ-
სონაჟისგან. ასე, რომ მაყურებ-
ლის წინაშე უტექსტოდ მდგარ
მსახიობს, ათჯერ მეტი ოსტა-
ტობა სჭირდება, რომ თავისი
პერსონაჟი ბოლომდე დამახსოვ-
როს მაყურებელს. არ მინდა მოვ-
ლენებს დავასწრო, მაგრამ ვი-
ტყვი, რომ ეს ნამუშევარი მა-
ყურებლის საყვარელ სპექტაკ-
ლად დარჩება. მჯერა, რომ ის
ბევრ თეატრალურ სეზონს გა-
უძლებს.

ბორა
ნიკოლაძე



**განსაცხილი ან ანონსი, რომ - ვი-
რუსი უბრალოდ, ზრუნს მოსწონს. ზრუნს
ყოფილად რეჟისორს პირველი რეჟი-
სორი, მინერალური ზრუნს, მინერალური
აქ რა - მინერალური ან რეჟისორი?
ზრუნს ან - ვითომდა, ანონსი**

ტირს შალაშვილი

ში უტყობა“ - გამოვა. ღვთის
წყალობით, მე გეონია, მა-
ყურებელმა უნდა მიიღოს.

ალბათ, 13-14 წლის ვიქ-
ტორია, ერთ-ერთი საქალა-
ქო ღონისძიების დროს ესპა-
ნურს ვცეკვავდი. ედგარ ეგა-
ძეს, რომელიც მაშინ თე-
ატრს სელმდევანელობდა,
ჩვენი რეპეტიცია უნახავს.
თავისთან დამიბარა და მკი-
თხა, თეატრი თუ გიყვარ-
სო. რატომაუნდა, კი-მეთქი
- ვუპასუხე. მაშინვე როლი

მომცა და მეორე დღის 11 საათზე დამიბარა. ეს იყო სპექტაკლ
„მიღების დღეში“, მიშა მესხის როლი. მაშინ „მოვიწამლე“ თეატ-
რით. ჩემს პატარა ნიკოლოზსაც ასევე მოულოდნელდ მოუხდა
სპექტაკლში მონაწილეობა. ბატონი ედგარის შვილის, ოთარ ეგა-
ძის სპექტაკლ პქონდათ ჩამოტანილი. ბავშვი სჭირდებოდათ და
ნიკოლოზი დიდი სიამოვნებით დაგვთანხმდა დუტასთან „პარტნი-
ორობაზე“ თითქოს, რაღაც ამბავი მეორდება.

**„მოვიწამლე“ ნიკოლოზს ნიკოლოზი, გავაგრძელო. ნამდვირად,
ანონსი მიიღო რა -“**

**ბერიტაშვილის ნამდვირად, თავისთავად, მაგრამ -
ნიკოლოზის მიხედვით, შინა მხოლოდ ის მოწოდებული
ქმედებითაა. ნიკოლოზი გავაგრძელო. ნიკოლოზი გავაგრძელო. ანონსი
შინა უფრო იოლად გავაგრძელო. ნიკოლოზი**

ნიკოლოზის უფრო იოლად გავაგრძელო. ნიკოლოზი

ტირს შალაშვილი





ლეკა ლომთაძე

სამშტაპლში ჩვენ წარმოვადგენთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეს. პირობითად სვანეთს, ფშავ-ხევსურეთს, კახეთს. კუთხურების მინიშნება სდება ქუდის მეშვეობით. მაგრამ ესენი არიან დეგრადირებული პერსონაჟები და ამის მინიშნება კეთდება ქართული, ყველახალისის ნაცნობი ქალაქური, თუ ხალხური სიმღერების დამახინჯებით, მათი ეთნოგრაფიული შესრულებით. ვინ არიან ეს ადამიანები? დღევანდელი ან-ალოგიტი ნიჭიერი, განათლებული ადამიანები, რომლებიც სხვების გასართობად უკრავენ, მაქეიფე ადამიანებს ართობენ, რადგან ყოფა სთავაზობს მათ ამ გამოსავალს, თუნდაც საკუთარი ღირსების სანაცვლოდ, მაგრამ საიმისოდ, რომ არ იშვიათად და ისიც მაძლარი იყოს. ფაქტიურად შენ ყიდი საკუთარ თავს კეთილდღეობისთვის და აღარ გაინტერესებს ვინ არის შენი ბატონი. ეს არის იძულებითი სინამდვილე და ადამიანი ყველაფერს აკეთებს, რომ მანაც შეძლოს მოიწყოს ცხოვრება, შექმნას და არჩინოს ოჯახი.

მუსიკალური თემები, რომლებსაც ვასრულებთ, ასევე ჩვენი სახეა, ქართული მელოდიები ისეა შეცვლილი, რომ ძნელია მათი ამოცნობა. სპექტაკლში ამას ემატება შესრულების ტექნიკური სირთულეები. ჩვენ უკრავთ მორბაობაში... დაღიხარა და თან უნდა შეინარჩუნო რიტმი, დინამიკა. სმირად განწყობისთვის აუცილებელი სდება შეძახილები, სიმღერა. ბუნებრივია, ყველაფერი ერთად რთულია... თან უნდა ითამაშო, გაათამაშო სცენა. ჩვენ კი გვაქვს საამისო ჩვევები, მაგრამ ამას კიდევ სხვა ოსტატობა ჭირდება. ბატონი გიორგის გადაწყვეტილება იყო ყველაფერი გაუკეთებინა ჩვენი ძალებით. ალბათ, ეს მაყურებლისთვისაც უფრო საინტერესო იქნება და ჩვენთვისაც. მთავარია, რომ ვიცით, რა არის გასაკეთებელი, საამისოდ ყველა ძარღვი მოჭიმულია და როცა იცი, გამძვავ კიდევ...



პირველად შემოდის სუფრის ეპიზოდი ბენდის მონაწილეობით და ეს არის მთელი საქართველო, უფრო სწორად 21-ე საუკუნეში აღწერილი „გეგმინდელი“ თემა. სცენაზე დგას ქვევრი, რომელიც მხატვრულ დეკორაციაში ერწყმის ვაზს და ხის ფესვებს. მე ამოვიდვარ ქვევრიდან და შეძახილით ვიწყებ დაკვრას, რასაც მოსდევს სუფრის სცენა. სხვა ეპიზოდში, დოქტორ დაკვრით გადმოვცემ ვაზის ცრემლებს, რომლებიც როგორც წვიმა ისე მოედინება სიმალიდან და ეს არის ვაზის ტირილი, ანუ ჩვენ ვტირით. ჩვენ, ბევრი სატყვარი გვაქვს დღესაც, 21-ე საუკუნეში, მაგრამ ეს მოდის ჩვენი მამა-პაპადან, წინაპრებიდან. აქ მთელი საქართველოა დახატული, მისი წარსული და აწმყო. აი, ეს არის ძირითადი თემა... თეატრთან ჩემი ურთიერთობა დაიწყო სტილიზებული ფოლკლორული თეატრი „ნაბადით“. იქ მე მუსიკოსი ვიყავი, აქ კი მე „მსახიობი“ ვარ.

მუსიკის შესწავლა მ წლიდან დაიწყო, ხალხური საკრავებით; შემდეგ ხალხური სიმღერა; ვისწავლე გიტარა, დავდიოდი ისე, რომ ოჯახმა არ იცოდა. მეზობლად ცხოვრობდა პროფესიონალი მუსიკოსი, რომელიც ოპერის თეატრში მუშაობდა. იქაც მივედი, ვცადე, მაგრამ მიეხვდა რომ ეს სხვა იყო და ხალხური მუსიკა კიდევ სხვა. წამოვედი მისგან. ერთხელ მივედი სახლში, მივიტანე გიტარა. მამაჩემს გაუკვირდა, მაგრამ როცა დაუკარი, თანაც კლასიკა, მშობლები გაოგნდნენ. „მამა, მუსიკალურ სკოლაში სწავლის ერთი წლის გადასახადი მაქვს შესატანითქო“ – უთხარი. ასე დაიწყო და თუ რამეს მივალწე მხოლოდ ჩემით. ერთი წელი ქუთაისში ვსწავლობდი, იოსებ ოცხელის სახელობის გიმნაზია დაგამთავრე. დეიდას თხოვნით ოთხი წელი ფორტეპიანოსაც ვსწავლობდი. მოკლედ მთლიანად მივედე მუსიკას, ხელოვნებას, სხვა არაფერი მაინტერესებდა. შემდეგ მამა დაჩემარა არჩევანში და მივედი სუხიშვილების ანსამბლის მუსიკოსთან მამაკა იმერლიშვილთან, რომელმაც მასწავლა ქართული დოლი. 1-2 წელი დამჭირდა სწავლა; დიდ შრომას მოითხოვს. მივედი სახოსთანაც, მაგრამ პასუხად მივიღე რჩევა „ამას შენ ვერ ისწავლი“. მოვიხადე ბოდიში და წამოვედი. თბილისში არის BIG BEND-ი, სადაც მოღვაწეობს დავით ჯაფარიძე, უღიერესი პერკუსიონისტი, რომელიც ყველა ქვეყნის მუსიკას უკრავს და ყველა ქვეყნის საკრავს ფლობს. მან მიხსრა „შენ თუ რამის სწავლა გინდა, ჩემთან მოდი და თანხა არ მისცხნო“. მე მაშინ მართლა ძალიან მიჭირდა, მაგრამ მაინც ვცადე და ის მე დამეძმარა დაოსტატებაში, დამხვეწა. ამის შემდეგ ემონაწილეობ სხვადასხვა პროექტებში: „პატრიოტი“, „ჯეოსტარი“, ფილმი „სეანი“ უკრავდნენ ლევან შენგელიასთან ბენდში, სადაც გავიცანი ლელა ლომთაძე, რომელიც მღეროდა. ჩვენ ერთად ვიყავით გასტროლით პეტერბურგში. შემდეგ ჩემს ცხოვრებაში იყო ნინო ტურაბელიძე, სუხიშვილების ყოფილი სოლისტი, თეატრ „ნაბადის“ სამხატვრო სელმძღვანელი, რომლის მიმართ მაქვს უდიდესი მადლიერების გრძნობა, რადგან მან მომაძიჭა სისხარული ყოფილიყოფი „ნაბადის“ სოლისტი. მას რომ არ ეთქვა „ჩემთან წამოდი“, მე დღეს არაფერი არ ვიქნებოდი. არაფერი ვიქნებოდი იმ ადამიანების გარეშე, ვინც დამეძმარა, ვის გვერდიტაც ვიდექი და უკრავდი. ქუთაისში ჩამოსვლამდე ემუშაობდი ბატონ ჭაბუკა ამირანაშვილთან, ჩაწერილი იმასთან, რომელიც ნინო ჩხეიძესთან, ემონაწილეობდა ლელა წურჭუჭიას კომპოზიციებში, საპატრიარქოს რადიოში ჩაწერე მერაბ მამულაშვილის სიმღერა პატრიარქის ტექსტზე. ეს იყო ხორუმი. გასაოცარი იყო, რომ ჩაწერას მოეან-

დომე ორწუთნახევარი, ანუ ერთი ამოსუნთქვით. ეს იყო უფლისაგან დალოცვითი წუთები. დღეს მე ყველაფერზე უკრავ, სპექტაკლში ჩემი საკრავია პირობითად კასრი, სინამდვილეში ეს არის კონგოები, ლათინო-ბრაზილიური საკრავი, რომელიც სცენის დეკორაციის ნაწილია. მეორე საკრავია აფრიკული ჯეშბე, რომლის საშუალებით მე შემოძლია სცენის ნებისმიერ მონაკვეთში გადაადგილება. მაგრამ მე, რასაკვირველია, მირჩენია დიპლომატი, ქოთანის, დოლი, ის საკრავები, რომლებიც მართლა ქართულია. მუსიკოსი ვიყავი, ახლა სულმოუთქმელად ველოდები, როდის შექმნის რეჟისორი სპექტაკლი ჩემგან პერსონაჟს.

კოტი რობაქიძე

სამშტაპლის მოქმედების ფონი არის საქართველო, დარღიანი, ტკივილიანი, ფიქრიანი. მისი სიმბოლო „მრავალჭამიერი“ კი ტირილად მიღებულია. არ მემღერება, არ მეცეკვება, არა მაქვს სამხიარულო განწყობა, მაგრამ სტუმრის წესი ქართველთა წესია და ასე ვიყავით ოდიტგან. ჩვენ შეგვიძლია ყველაფერი გავიღოთ სტუმრისთვის, მისი სიამოვნებისთვის, გვინდა მას მხოლოდ კარგი დავანახოთ, მაგრამ როგორ მივღებთ ის ამას? ექვება კი ჩვენს მონდომებას სასურველი შედეგი? სამწუხაროდ, ყოველთვის არა. ზოგჯერ ჩვენი მონდომება ჩვენივე დაცინვის მიზეზი სდება. ასეა სპექტაკლშიც. თავაშვებული ღრეობები, რეალობის შეგუებული და მასთან პროტესტით დაკავშირებული ადამიანები. ჩვენ მეცობრება გვინდა სტუმართან. მას კი ერთი ინტერესი აქვს, გიყილოს და დაგეპატრონოს. ამას ვგრძნობთ და ამიტომაც ტირის „მრავალჭამიერი“. სპექტაკლში საჭირო გახდა აკორდეონის გამოყენება ბატონი გომარის გადაწყვეტილებით. მე ცოტათი ვერკვედი ამ საქმეში. ვუკრავ ფორტეპიანოზე და მესმის ეს საკრავიც. მაგრამ სხვა სპეციფიკა აქვს. მასზე ვასრულებ ქუთაისელი მუსიკოსის ნიკა კუბლაშვილის მელოდიას, რომელიც ასევე ბატონმა გომარმა შეარჩია. მუსიკის სახით ჩემი დატვირთვა იმან განაპირობა, რომ მოყვანილს დონეზე ყველა საკრავზე შემოძლია დაკვრა, სიმღერა, ცეკვა. მახსოვს ერთი სპექტაკლში დოლს ვუკრავდი. უნდა მეფიქრა დოლზე და როლზე ერთდროულად. ეს მიქმნიდა გარკვეულ დისკომფორტს. ამჯერად აკორდეონს დავუფუღე. ახლა დუდუკები დამრჩა და...

მაგრამ, რაც მთავარია, ვარ მსახიობი, სპექტაკლის რეჟისორების ნაწილი, უფრო სწორად იმ სიტუაციის ორგანული ნაწილი. მუსიკოსი რომ ყოფილიყო საჭირო, ალბათ მოიწვევდნენ კიდევ. მე არა ვარ ინსტრუმენტალისტი და ვფიქრო, რომ ვასრულებ იმ როლს, რაც პროფესიით მაქვს განსაზღვრული. საინტერესოდ ვიმუშავე კომპოზიტორთან, პლასტიკაში კასაბო შარტავასთან, ქორეოგრაფ დათო აბულაძესთანაც გავიარე კონსულტაციები ქართულ ცეკვაში, მე და გიგა მიქაძე გავაკეთეთ გარკვეული მონახაზები. მაგრამ ახლა ჩემი პროფესიის წყალობით უკვე ხასიათია წინა პლანზე გამოსატანი და ყველაფრის სინთეზში მოყვანა. მუშაობა მიდის დაბალი რეჟიმში და ეს აუცილებელია. ამაში ყველანი დაგვწყნდნენ ერთი, როცა მივაღოთ სასურველ შედეგამდე.



ლევან ულაჯიშვილი

ბიორბი სისხარულიძის სპექტაკლში ასახულია დღევანდლობა. ჩვენ ვართ დღევანდელი ქართული რეალობის წარმომადგენლები – უმარავი პრობლემებით, ტკივილით, საზრუნავით, მაგრამ როგორც კი უცხო სტუმარი გვეწვევს, ვცდილობთ არ დავანახოთ მას ჩვენი გასაჭირი და თავი მოვწონოთ. საამისოდ თავს არ გზავით. ეს ხომ ჩვენი ადამ-წესებიდან მოდის. შეიძლება გვეტყვიან, მაგრამ როცა სტუმრის მასპინძლები ვართ ჩვენ გმზირულ-დებით და ვცდილობთ ყველა-ნაირად ვასიამოვნოთ მას. რაც არ უნდა ისმოდეს სცენიდან, ყველაფერი მაინც ქართულია, ცხოვრებისეული. ფაციას და ადიკოს სცენაში





იუბილარები

ჩემი პრემიერა ჩემი განცხადება მსახურში

„მძვინ იცით, რაა მსახიობის ცხოვრება? თუ წარმოგიდგენიათ თითოეულ თქვენგანს, ერთ დღეს იყოთ დედოფალი, მეორე დღეს — მესამე, მესამე დღეს — ბოროტი დედინაცვალი, მათხოვარი, მონა... იყოთ მებრძოლი, შეყვარებული, შეღმეღარი, მოცეკვე, მომღერალი, მოტირალი, ჯადოქარი და რა გიცი... იცვლიდა პარტნიორებს. მუდამ გკონდეს აჩქარებული გულისცემა და სუნთქვა. გამუდმებით ფიქრობდნენ გმირებზე, ფერებზე, არაფრად აგდებდნენ სიცივეს, უშუქობას. იცით, რა გემრიელია სცენაზე სიცილი? იცით, რა ბედნიერებაა, როცა როლის გასაღებს პოულობ და მერე მთელი სხეულით და ფიქრით ეუფლები ახალი გმირის შექმნის ხელოვნებას. ამიტომ და ამიტომ ტილოს ნაირნაირ ფერებს, მერე უვლი, არ გინდა, გახუნდეს. გგონია, სისხლიც გეცვლება...“ ეს მსახიობ მარიკა სამანიშვილის ჩანაწერია, მოცალებობის ჟამს. თითქმის სამი ათეული წელია, მარიკა სამანიშვილის ელვარე ნიჭი ამშვენებს მესხიშვილის თეატრს. მშვენიერი გარეგნობისა და მკაფიო ინდივიდუალის მქონე, ჯერ კიდევ სტუდენტ გოგონას, ფართო არჩევანი ჰქონდა სამსახიობო კარიერის გასაგრძელებლად და რადგან მან ერთხელ ქუთაისი გადაწყვიტა, მთელი ამ ხნის მანძილზე, ერთგულად ემსახურება მშობლიურ თეატრს. იშვიათია სამსახიობო უნარჩვევების ისეთი თავმოყრა, როგორც ეს ქალბატონი მარიკას შემთხვევაშია — გარდასახვის შესანიშნავი უნარი, გასაოცარი პლასტიკა და სასცენო მოთრება, ხმა და მუსიკალობა, გამართული და მკაფიო მეტყველება. ამიტომაცაა მისთვის ნებისმიერი ტექნიკური სიძნელის გადალახვა შესაძლებელი, ამიტომაც რეჟისორები თამამად აკეთებენ არჩევანს მასზე.



გალში“, ყამარი — „ღია შუმაზნდი“, მაია კანდელაკი — „წმინდანები ჯოჯოხეთში“, ნინუა — „ქურდი სამოთხეში“, რიტა — „ცილინდრი“, ცეზონია — „კალიგულა“, ვენერა — „ნერონისა და სენეკას ჟამინდელი თეატრი“, ირინკა — „შენკენ საგალი გზები“, ნია — „მერე რა, რომ სველია სველი იასმანი?“, მერი — „ათვინიერებენ მიმინოს“, კესო — „ოთარაანთ ქერივი“, ლამპირა — „გამოქვამული“, ქალი — „ქალი ქვიშაში“, დედოფალი ანა — „ჭიქა წყალი“, მარგო, ქსენია ექთანი — „ვერვისგან ანაწონები“, ები — „სიყვარული თელეპეშე“...

გასულ სეზონში, მცირე პაუზის შემდეგ, მაყურებელი კიდევ ერთხელ გაახარა მსახიობის მსახიობმა ნამუშევარმა სპექტაკლში — „ბაზაზის სამოთხე“. მარიკა სამანიშვილმა თავი მოსინჯა და წარმატებითაც — მონოდრამაში. მან შეძლო ემილი დიკინსონის ურთულესი სულიერი ლაბირინთების გაგება და წარმატებული „ამპერსტის მშვენიერა“ წარმოდგინა ქუთაისელ და თბილისის თავისუფალი თეატრის მაყურებელს. შემთხვევითი არაა, რომ მსახიობი პროფესიულ გამოცდილებას მომავალ კოლეგებს უზიარებს და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწყევს.

არის ღირსების ორდენის კავალერი; საქართველოს დამსახურებული არტისტი. ყველაზე დიდი ჯილდო კი ის სიყვარულია, რომელსაც მაღლიერი მაყურებელი უხვად უძღვნის.

მარიკა სამანიშვილს საიუბილეო თარიღს ვულოცავთ! ჯანმრთელობას, სიძლიერეს, მრავალ შემოქმედებით წარმატებას ვუსურვებთ!

წორედს, სცენაზე დგომა მაინც არასოდეს მოსვლია აზრად. მუსიკალური სასწავლებლის შემდეგ აკადემიური მუსიკალური განათლება მიიღო და ჩემთვის ყველაზე რთული საგნის — მუსიკის თეორიის მასწავლებლობას შეუდგა. ნანის ზუსტი სმენა და საოცრად სასიამოვნო, რბილი და ტკბილი ხმა აქვს. თუმცა საკუთარი სიმღერით ხშირად არ გვანებიერებს და საერთოდ, ძალიან მოკრძალებულია. გიტარაზეც მშვენიერად უკრავს და ფორტეპიანოზეც. რომელიმე რთული სიმღერა ხმებში თუ „გვეჭედება“ ხოლმე, უთუოდ ნანის მიუვაკითხავთ.

მესხიშვილის თეატრის თანამშრომელი გოგი ქავთარაძის სელმძღვანელობის პერიოდში გახდა და მალევე მოუხდა მოსკოვის გასტროლზე გამგზავრება. აქ ნანიმ პირველად გამოავლინა კომუნიკაბელურობა, უშუალობა, პასუხისმგებლობის მაღალი შეგრძნება და ორიენტაციის „არაჩვეულებრივი“ ნიჭი. ამ უკანასკნელის მომსწრე თავად გასლდათ რამდენიმე წლის წინ, ბათუმის გასტროლისას, როცა მე (ასევე ნიჭიერი) და ნანი ერთსადაიმევე ქუჩას წრეებს ვარტყამდით და ვერაფრით მოგვეხერხებინა სასლში მისვლა. თავისი მეგობრებისა არ იყოს, ნანი ძოწნიძეც მხოლოდ არჩეული რაკურსით, საკუთარი ლოჯიდან სწავლობს და ემსახურება სპექტაკლს. შიგნით საკმაოდ დატვირთული სამუშაოები მიმდინარეობს — ჩაწერა, გადაწერა, მონტაჟი და მხოლოდ პროფესიონალთა ენაზე შექმნილი პარტიტურა. თუ არა შემოქმედებითი ნიჭი, სცენაზე მომხდარი „ჩეპე“ ხშირად დააბნევდა და სპექტაკლსაც ავნებდა. ასეთი რამ ნანის არ მოსდის. მან იცის, რომ ცოცხალ შემოქმედებაში ყველა ერთნაირი დოზით უნდა დაიხარჯოს და პასუხისმგებლობაც თანაბრად გაინაწილოს.



ეს ერთი წელია, თუ რეპეტიცია ან სპექტაკლი არ არის — შინ მიეჩქარება; რომ პატარა დავითს მოეფეროს, სითბო და სიყვარული გაუზიაროს. დიდი ბაბუის პატარა მოსახლეს ნანის ყველაზე დიდი იმედია და ბედნიერებაა. თითქოს, მისი თვალეზით უყურებს სამყაროს. ამ პატარა ადამიანს, სხვა რომ არა, ალბათ, მარტო ნანის მაღლი ეყოფა კაიკაცობისა და ილბლიანობისთვის. „ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ“, ნანი საოპერატორო პულტს უზის. ახალი სპექტაკლი მზადდება და რადისტი მოუცლელია. სიამოვნებით აყოლებს ღილის შესანიშნავ მუსიკას. პრემიერაზე ის ისევე ღელავს, როგორც მსახიობი. ამიტომ, მასაც წარმატება უნდა ვუსურვოთ. წარმატება და დიდხანს სიცოცხლე. ის ზომ ყველას ისე გვიყვარს, ყველა დაუფიქრებლად ვანდობთ საიდუმლოს...

მესაიდუმლე

მამლაზამ „მიმი“ დღეებში, როცა თეატრის რადიოსამქროს კარზე დიდი აბრაიკერბოდა, „შესვლა სასტიკად აკრიძალულია“, ყველაზე მეტი საყვდელი ნანი ძოწნიძეს სვდებოდა. ნანი ვერასოდეს ახერხებდა თუნდაც ძალიან რბილად, ისე, როგორც ნაირა და მაყვალა გვეუბნებოდნენ, ეთქვა — გოგოებო, სასტიკი გაფრთხილება გვაქვს და იქნებ, ცოტა ხნით, თავი შეიკავოთო. ქუთაისის ძველ უბანში გაზრდილი ხშირად ხუმრობით გვეუბნება ხოლმე — თქვენ რა იცით თეატრი, თეატრი ყველაზე პირველად მე დავინახეთ.

საოცრად კულტურულსა და გაწონას-



იუბილარები

მე ისინი მუდამ ხალისიანი, მომიღმარი მახსოვს, რაც ვიცნობ (ჩემი ბავშვობიდან) სულ სადალაც ერქარებათ, აგვიანდებათ, „აღმოჩენით“ კი როგორც მსახიობები სულ პირველად ლევან მილორავეას პიესაში „უკანასკნელი იფარიძე“ აღმოვაჩინე. ერთ-ერთი სცენა დღეს თვალებიდან არ ამომდის, იმ ქართული სუფრული სიმღერის მელოდიაც დღემდე მესმის, უნებლიეთ...

საქეტაოლოგიის ინსტიტუტის თეატრში სცენაზე ერთმანეთს სიყვარულსა და ქართველობაში ეპაექრებოდნენ თავადი ივარიძე—თემურ თაყაი და მისი მეგობრები—ალექსანდრე ტორიბაძე, გიორგი ღელაშვილი, გიორგი ნიკოლაძე, ზურაბ ძნელაძე.

დღეს იფარიძე
მოგონებებშიღა
დარჩა, თემურ თა-

მე ალექსანდრე ბრიგოლის ძე ტოროტაძე დავიბადე 1948 წლის 28 მაისს, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნიგოეთში. მშობლების და საერთოდ დღემდე განვლილი ცხოვრების შესახებ გზადაგზა გაიამბობთ. პარტიული ანგარიშის სისპეტაკე უფლებას არ მაძლევს ჭეშმარიტებას გადავუხვიო. გულახდილად ვაღიარებ, რომ დღემდე ბიოგრაფიული მონაცემების ჩამოყალიბებისას, არასდროს დამჭირებია ასე კონკრეტულად და დაწვრილებით გადმომეცა ჩემი ცხოვრებისეული დადებითი თუ უარყოფითი მხარეები. ანგარიშის ჩამოყალიბების წინ ბევრი ვაწვალე კალამი, რთული ყოფილა ილაპარაკო საკუთარ თავზე, ჩაახედო მკითხველი თითოეულ წვრილმანში. და აი, გადავწყვიტე საკუთარ თავთან ვყოფილიყავი ჭეშმარიტი, მართალი. როცა პიროვნება თავს ანგარიშს უყენებს, მაშინ რეალურ ფაქტებს ვერსად გაეშტევა, გრჩება ერთი გზა გამიფრო საკუთარი თავი. მართალია, თქვენ იცნობთ ჩემს პიროვნებას, მაგრამ ახეი, როგორც მე, თქვენ მხოლოდ ერთი ათეული წელია მიცნობთ, მე ჩემს თავთან 57 წელიწადს ვითვლი.

დაბადებიდან სამი თვის შემდეგ, როგორც ახლობლებმა გადმოცეს, არა ჯანსაღი დამოკიდებულების საფუძველზედ მშობლები დაშორდნენ. დედა თავის საკუთარ ოჯახში დაბრუნდა, მას ჩემთან არავითარი კონტაქტი არ აქვს. მამამ კი ოჯახის რჩენა-პატრონობას რუსეთის ქალაქებში ხეტიალი ამჯობინა. მე მამაჩემის დესთან ვიზრდებოდი, ხოლო 1956 წელს მისი გარდაცვალების შემდეგ, ახლობლები იძულებული გახდნენ საცხოვრებლად მასთან გადაეყვანა. ეს საქმე მამაჩემის ძმამ იკისრა და ამავე წელს ჭყონავერის ოთხწლიან სკოლაში შემიყვანა სასწავლებლად. 1960

ვაძეც უსასრულო-
ბას შეემატა... დარ-
ჩნენ მაშინდელი „ბიჭები“, დღეს
კი, ქუთაისის ლ. მესხიშვილის
სახელობის სახელმწიფო დრამა-

ტული თეატრის მსახიობები, რომელთაგან სამი იუბი-
ლარია.

მიზო კაკაურიძეს 9 მაისს შეუსრულდება სამოცი წელი...

აღუპო ტერორიზმის 28 მაისს...

გიზო ლელუშვას მარიამობას, 28 აგვისტოს...

მესხიშვილელთა დიდ ოჯახში სამთავენი თითქმის ერთად მოვიდნენ, განსხვავებული ბავშვობით და ახალგაზრდული წარსულით...

დაბადების დღეს
გილოცოვთ!
გვიყვარხართ...
ნ.ძ.



ან გარი ში
(კომ-პარტიას)

წელს მამაჩემის რუსეთიდან დაბრუნების გამო, საცხოვრებლად სამტრედიიაში გადმოვედი. მეც წაველა ამავე რაიონის მკურნალის საშუალო სკოლაში განევარძე. ამავე წელს მამაჩემმა შეირთო მეუღლე. ზღაპრებიდან მეცოდებოდნენ დედინაცვლის ხელში ჩაგარდნილი გერგები, მაგრამ ამჟამად ყველაფერი ჩემს თავზე დატრიალდა. დღემდე ვერაფრით დამეიწყებია მრავალთავან ერთი საშინელი ფაქტი. იმაჟამად სოფელში ერთი მარტოხელა მოხუცი ქალი ცხოვრობდა, პენსიონერი, მასთან დედინაცვლის შეთანხმებით გაკვეთილების შემდეგ ყოველდღიურად დავდიოდი. ისიც სწავდასხვა წვრილმანით მასაქმებდა - გრესავდი შუშას, მიხმარდა სხვადასხვა სამეურნეო საქმეებში. ასე გრძელდებოდა მთელი ხუთი თვე. თქვენ წარმოიდგინეთ, მოხუცი ლმობიერი გამოდგა. ერთ დღეს მომილაერსა და მითხრა: - შეილო არ გეგონოს ტყვილა გასაქმებდე, დედინაცვალს ჩემგან ყოველთვიურად 10 მანეთი მიაქვსო. იმ დღიდან მოჯამავირედ აღარ გაგჩერებულვარ. მაგრამ სიჯიუთისათვის არც სახლში მადგებოდა კარგი დღე. წარმოუდგენელ სიტუაციაში ჩავევარი მაშინ, როცა მამაჩემმა ერთ დღეს საერთოდ დედინაცვლის აპარა დატოვა, თვითონ კი სხვა მყოფლესთან გადავიდა საცხოვრებ-

შემდეგ ჩემი ბედ-იღბალით არავინ დაინტერესებულა. აქ მამიდაჩემმა გამომიწოდა მოწყალების სელი, საცხოვრებლად მასთან ერთად მოვეწყვე დაქირავებულ ბინაში, სასწავლებლად ქუთაისის 31-ე საშუალო სკოლაში მიმიყვანა. ამავე წელს გაეხდი ალკკ წევრი, ორი წლის შემდეგ 1965 წელს მამაჩემის და გათხოვდა და მე ისევ მარტოდ-მარტო აღმოვჩნდი. მაგრამ ჭირთან უკვე შერკინებულ ბავშვს მარტოობაში გული არ გამტეხია; პირიქით, რატომღაც ცხოვრება უფრო საინტერესო მეჩვენა, არავინ მტანადლავდა, ტყუილუბრალოდ არავინ მიცემდა. კარგად ვსწავლობდი. ჩემს ბედს თითქმის მთელი პედაგოგიკური განიცდიდა. ზოგი ეკონომიკურად მესმარებოდა. ისიც კარგად მახსოვს სკოლის დირექტორმა მიშა გველესიანმა, მომეალერსა, როცა გაიგო, რომ გაკვეთილების შემდეგ იქვე ცენტრალურ სტადიონზე დავდიოდი, სადაც გამწვანების მუშად ვმუშაობდი და პარალელურად ფეხბურთის სექციაში ვთამაშობდი. სამუშაოს შემდეგ დილაშუალომდე დასვენება და მეცადინეობა მიხდებოდა თავისუფლების ქუჩაზე, ჩემის მიერ დაქირავებულ ვინმე მანაგაძის ბინაში, სადაც ქირის სახით 30 მანეთს ვიხდიდი. სკოლა 1966 წელს დავამთავრე, ცენტრალური სტადიონიდან სამუშაოდ ელექტრომექანიკურ ქარხანაში გადავინაცვლე, სადაც სამხედრო სავალდებულო სამსახურში ვაწვევამდე ვმუშაობდი ელექტრო კარის მძღოლად.

1969 წელს დემობილიზებული ვიქენი
სამხედრო სამსახურიდან. ამ წელს შევირ-
თე მუუდლე - რუსუდან გრიგოლის
ასული იობიძე, რომელმაც დაამ- **და**



თავრა ალ. წულუკი-
ძის სახელობის ქუთა-

ისის სახელმწიფო პედაგოგი-

ური ინსტიტუტი და ამჟამად

მუშაობს გაზეთ „ქუთაისის“ რე-

დაქციაში შტატგარეშე კორესპონდენტად.

მუშაობა დაიწყო საქ-სოცტექნიკის გა-

რაჟში მძღოლად. პარალელურად ბატონ

ერემო სენაძესთან ვებზედლობი თეატრა-

ლურ ინსტიტუტში შესასვლელად. 1970

წელს მისაღები გამოცდები ჩაება რე. რუს-

თაველის სახელობის სახელმწიფო თეატ-

რალურ ინსტიტუტში - სამსახიობო ფა-

კულტურაზე, რომლის სრული კურსი 1974

წელს დაემათავერ. საკურსო სპექტაკლები-

დან ვითამაშე: აბესალო დ. კლდიაშვილის

„ირინეს ბედნიერება“, ექიმი ემეტი პატ-

რიკის „უცნაური მისის სევიჯი“, რომე-

ლიც შემდეგ ტელევიზიით გადაიცა. მ. კა-

რიმის „მთვარის მოტაცების ღამეს“ ჩემი

სადიპლომო სპექტაკლი გახლდათ ივანე ბე-

კოჭანის: „ვიდრე მამული იყივლებდეს, სა-

დაც ვითამაშე ტომკო მასწავლებელი. სას-

წავლებლის დამთავრების შემდეგ დაბრუნ-

დი ქუთაისში და მუშაობდა დაიწყო ქუ-

თაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სა-

ხელმწიფო დრამატულ თეატრში, დასმა

გულთბილად მიმიღო, უფროსი კოლეგე-

ბის დახმარებით თეატრის პულის ადგი-

ლად მოვსინჯე და სწრაფად შევეთვისე

დასს. ჩემი დებიუტი შედგა ა. სულაგურის

პიესაში „სალამურა“, სადაც ვითამაშე სა-

ლამურა. გ. მრეველიშვილის „ზვავში“ - გე-

გას როლის შესრულებისათვის საქართვე-

ლოს კულტურის სამინისტროს საპატიო

სიგელით დამაჯილდოვეს. ა. ჩხეიძის „თა-

ვისუფალი თემა“ - ნიკიფორე, მოლიერის

„ძალად ექიმი“ - ლენდრი, ჟ. ანუის „სარ-

დაფი“ - სემინარიელი, ა. დიუმას „სამი

მუშკატერი“ - დ'არტანიანი. ა. ჩხაიძის

„შთამომავლობა“ - დარიალოვი. შატრო-

ვის „ექვსი ივლისი“ პოპოვი. ჩემს მიერ

ნათამაშები როლებით სპექტაკლს მარცხი

არასოდეს განუცდია, ბევრი სახე კარგად

ვითამაშე, ბევრიც საშუალოდ. ამ წლებში

შეთავსებით გმუშაობდი ადგილმრეწველო-

ბის კულტურის სახლში, სადაც საუკეთესო

რეჟისორული ნაშეშევისათვის 1977 წელს

მომენიჭა საკავშირო ფესტივალის ლაურე-

ატის წოდება. 1979 წელს შევედი სკკპ

რიგებში. ამავე წელს ბედი მოვსინჯე და

დამოუკიდებელ სამსახურს მივედე, სამუ-

შაოდ გადავედი წყალტუბოს ზონის გეგუ-

თის კულტურის სახლში დირექტორად. ხო-

ლო ორი წლის შემდეგ წყალტუბოს კომ-

პარტიის ბიუროს დადგენილებით გადა-

მიყვანეს წყალტუბოს საქალაქო კულტუ-

რის სახლის დირექტორად. თანამდებობა-

ზე მუშაობისას მიღებული მაქვს კულტუ-

რის სამინისტროსა და ადგილობრივი ორგა-

ნოების სხვადასხვა საპატიო სიგელები, მად-

ლობები, მაგრამ აღვნიშნავ იმასაც, რომ

მუშაობის ბოლო წელს ფინანსური დარ-

ღვევისათვის მიღებული მაქვს სასჯელი.

იუბილარები

1984 წელს რეჟისორმა ი. კაკულიამ, რომელიც იმჟამად მუშაობდა კ. გამსახურ-
დიას „მთვარის მოტაცების“ მოტივზე შექ-
მნილ სპექტაკლზე: „ზარები გრიგალში“
ბრძანებით მომიწვია გვანჯ აფაქიძის რო-
ლის შესასრულებლად, მუშაობა მისდებო-
და წყალტუბოში დაკავებულ თანამდებო-
ბაზე და პარალელურად გვანჯ აფაქიძის
სახეზე. თეატრისადმი სიყვარულმა თავისი
გაიტანა და საბოლოოდ თეატრს დავეუბ-
რუნდი. ამ დღიდან ჩემს სამახიობო არქივს

ან გარი ში

(კომ-პარტიას)

შემდეგი სახეები შეემატა. გვანჯ აფაქიძე,
ფაინშტეინი, ფრონტელი, ამჟამად ვმუშა-
ობ პ. კაკაბაძის პიესაზე „ყვარყვარე თუთა-
ბერი“ - ტიტე ნატუტარის როლზე, პარა-
ლელურად იაქაშვილის ზღაპარში - ჯამ-
ბაზოუხეცის როლზე. სხვადასხვა დროს,
სხვადასხვა პიესებში მსახიობების უეცარი
ავადმყოფობის გამო, სპექტაკლებში ურე-
პეტიციოდ შესვლისა და როლის ნორმა-
ლურად შესრულებისთვის თეატრის დირექტი-
ვიდან მიღებული მაქვს რამდენიმე მად-
ლობა, რომელიც ჩემს პირად საქმეში ინა-
ხება (საერთოდ ზემოთ ჩამოთვლილი ქების
სიგელები, თუ მადლობის ფურცლები ინა-
ხება ან ჩემს პირად საქმეში, ან პირად
არქივში).

აქტიურ მონაწილეობას ვღებულობდი
ქალაქის, როგორც საზოგადოებრივ, ასე შე-
მოქმედებით საქმიანობაში. მონაწილე, ან
ინიციატორი ვიყავი ქალაქის სხვადასხვა
მასიური ღონისძიებისა. ამის აღსანიშნავად
მიღებული მაქვს რამდენიმე ქების სიგელი
და მადლობის ფურცლები. ჩემივე ინიცია-
ტივით და უშუალო ხელმძღვანელობით
1984 წლის 11 მაისს ავტოქარხნის კულ-
ტურის სახლში ჩატარდა ქუთაისის სა-
ციკო კოლექტივის პირველი წარმოდგე-
ნა, რომელიც ქუთაისის ბაზაზე შევექმენი.
მასზედ მოწვეული იყვნენ როგორც ქალა-
ქის ხელმძღვანელობა, ასევე თბილისის სა-
ხელმწიფო ციკრის დირექციის წარმომად-
გენლები და უშუალოდ ციკრის რეჟისო-

რი-ერისთავი. წარმოდგენის გარჩევის
შემდეგ წარმატება მისურვა და დიდი
დახმარებაც აღმოქმედა, მაგრამ წაეწყვიდა
სერიოზულ წინააღმდეგობას, რომელიც
გზადაცაა მცირდება. ამ ფრიად მნიშვნე-
ლოვან წამოწყებას გამოქსამურა პრესა, ტე-
ლევიზია, იმეღია ჩემს დასასჯელ მიზანს
მივალწევ. ჩემივე ინიციატივით 1984 და
1985 წლების დეკემბრის თვეში ქალაქის
კულტურის სახლის ძალებით დრამატული
თეატრის მუშა-მოსამსახურეთა შეილებსა
და შეილიშვილებს ვუჩვენე სახალწლო გა-
სართობი პროგრამები. ხოლო 1984-1985
წლების საშვებულებო პერიოდში ხელი შე-
ვუწყვე დრამატულ თეატრს საფინანსო და
სპექტაკლების რაოდენობის გეგმის შესრუ-
ლებაში, მაქვს პარტიული დავალება, ჩემ-
ზე დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად
ვასრულებ.

მყავს ორი შვილი, ორთავე მოსწავლე-
ები, სწავლობენ კარგად. 1959 წლიდან
ვცხოვრობ ჩემი მეუღლის მშობლებთან. შე-
სანიშნავი ხალხია. როგორც საკუთარ შვილს,
ნამდვილი მშობლიური მზრუნველობით მე-
პყრობიან, ვცდილობ შეძლებისდაგვარად სი-
კეთეს სიკეთით ვუპასუხო. ცხოვრებაში ბევრ
სიკეთესთან ერთად ნაკლიც გამაჩნია. მყავს
ბევრი მეგობარ-ამხანაგები, როგორც თე-
ატრში, ასევე მის გარეთ. მიყვარს მათზე
პატივისცემა, ვარ სტუმართმოყვარე, ვერ
ვიტან უსურველადგებას. მყავს ძალიან კარგი
მეზობლები. მათ შორის არიან შრომისუუ-
ნარონი. ხშირად მისდება მათზე მისმარება.
ასეთი ხასიათი მაქვს. მიხარია, როცა სხვას
ვეხმარები, ან ვჩუქნი რამეს. ხასიათი ცუ-
დი არა მაქვს, მიყვარს ბევრის მოსმენა,
ცოტა ლაპარაკი, იუმორიც მიყვარს. მაქვს
უარყოფითი მხარე - როცა რაიმეზე, ან
ვინმეზე გაბრაზებული ვარ, ვერ ვიტან
დილოვს, ყველაფერი მაღიზიანებს, მდგო-
მარეობიდან მალე გამოვდივარ. ვარ ნერ-
ვიულიც, მაქვს ამაყი ხასიათი, როცა დამ-
ნაშავე ვარ მაშინ ვცდილობ თავის გამარ-
თლებას. ასეთ დროს ხშირად უარეს ყოფა-
ში ვივადებ თავს. პატივს ვცემ მშრომელ
კაცს. თვითონაც არასოდეს ვყოფილვარ
უსაქმური. მიყვარს ჩხირკიდელობა. მიყ-
ვარს გამონათქვამი: „ტყვილა ყოფნას,
ტყვილა შრომა სჯობიაო!“

საბოლოოდ ვინატრებდი სპექტაკლებ-
ში ნორმალურ დატვირთვას. ვისურვებდი
ზემოთ აღნიშნულ მიზნის მიღწევას სა-
ციკო საქმეზე და რაც მთავარია, შვილე-
ბის ისე აღზრდას, რომ მათ სიყვარულს არა-
ვითარი პარალელი ჰქონდეს, ჩემს უაზ-
როდ გატარებულ ბავშვობასთან.

აი, ეს ჩემი ანგარიში, თითქმის გამოვიდა, მაგრამ ალბათ, შემთხვევით არა, ეს
რეალობაა ალბათ, ასეთი გულმართალი და პირდაპირი მე არასოდეს ვყოფილვარ.
ეტყობა არც შუა ხანს მიღწეული კაცის გამოსწორებაა გვიან, თუ კი მსგავსს ხედავთ
ჩემში. შეიძლება მქონდეს კიდევ ისეთი უარყოფითი მხარე, რომელსაც მე ვერ
გამჩნევდე, ამიტომ ყველა დანარჩენი თქვენთვის მომინდვია, ნუ დამზოგავთ, ნუ
შემიბრალებთ. „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“ უთქვამთ, მე კი გულისწყრით
მოვისმენთ და ყველაფერს გავეთვალისწინებ, ალბათ, ჩემივე ბედნიერი მომავლისთვის!!!

ალექსანდრე ტოროტაძე. 1986 წლის 25 იანვარი



იუბილარები



საქართველოს დამსახურებული არტისტი გიორგი ლეღეშვილი ქუთაისის ლალო მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის მსახიობია. თეატრალურ ინსტიტუტში სწავლისას ბედნიერება ჰქონდა, მიხეილ თუმანიშვილის ჯგუფში ესწავლა და ისეთი თანაკურსელები ჰყოლოდა, როგორებიც არიან: მარინე ჯანაშია, ნანა ჩიქვინიძე, ბესო ხიდაშელი, ნუგზარ ბაგრატიონი, გივი ჩუგუაშვილი. წარმოშობით გურული კაცია, შუაგული ნატანებიდან, მოწოდებით არტისტი და გულით ქუთაისელი. ქუთაისლობას 1971

როგორც საკუთარი ნატანები. მშობლები ცოცხალი ჰყავს, დედა 82 წლის და მამა 85-ის. მეუღლის, სამი ქალიშვილის და ორი შვილიშვილის ბაბუა ქუთაისის სატირისა და იუმორის თეატრის მსახიობიც გახლავთ. დრამასა და იუმორს ბუნებრივად უზამებს ერთმანეთს, როგორც ეს ნამდვილ არტისტს ხელეწიფება.

ლეღეშვილი. ყახიანოვიჩი

ახალი ჩამოსული ვარ ქუთაისში, ჯერ ქალაქში არაფერი მიცნობს, შარვლის შეკერვა დამჭირდა და გიორგი კაკაბერიძეს შევეხვეყნე. — გიორგი, წამყვანი მკერათი და შენი გვარი ჩააწერინე, თორემ დამიწყებს ახლა ეს სადაური გვარია, რა უცნაური



გვარია, საიდან ხარო და არ მაქვს ახლა მე მაგის ასხნა-განმარტებების თავი-თქვა. წაყოლით კი წამომყვა გიორგი, მაგრამ გვარის მოცემამდე სასტიკი უარი განაცხადა. მივედით მკერავთან, ამიღო ზომები, დამითქვა მისვლის დრო და მეითხოვა დაეთარში ჩასაწერად ჩემი სახელი და გვარი, — ლეღეშვილი გიორგი კახიანოვიჩი, — გუპარანახე სიტყვა-სიტყვით.

— ვის აგლახებ, ბიძია, შენ? შენხელა შევიღმეილები მყავს სახლში! — გაბრაზდა მკერავი.

— რავე გეკადრებათ, ბატონო, ლეღეშვილი ვარ, გიორგი მქვია და კახიანე მამაჩემი-თქვა, — დუიკოყრეტე, მარა ვინ დაგიყვარა?

— გამეხიდე, ბიძია, აქეთ, ორმეტრიანი კაცი ხარ სიგრძეში, ტანი შენ არ გაქლია და ფეხი, მარა ზრდილობა არ უსწავლდება შენს პატრონს, არ გეკადრება შენ მა ამავეთ.

— შარვლის წასადებად რო მოვალ, აბა პასპორტს მოგიტან და მაშინ მაინც დამიჯერებ-მეთქი, — დადებრდა და მივერტანე ერთი კვირის მერე პასპორტი.

წაივითხა, გაეკარა იქვე რესტორანში, მოარბენინა პურ-მარილი და გურული კაცის ქუთაისში არტისტობის სადღერამელო ჩვენთან ერთად შესვა.

აბა. ყახილი

წლები წინ თეატრის მსახიობებმა მოგზაურთა კლუბი შექმენით სახელწოდებით „აბა, კაცი“ კლუბის წევრები მოსავლის აღებაშიც ვეხმარებოდით ახლობლებს. მოკლე, ნატანებში გამოიმთხხა დღეაჩემმა, — ჩამოი, ნენა, შენი მეგობრებიანა, პაწა წაგვიყარი ხელი ყანის აღებაში. წავედით ხელის წასავრავად მე, კაკაბერიძე და თავად ჩემი მანქანით, მარა რა შრომა ექნებოდა ჩვენს შრომას ცირამუას გარეშე (იმ ხანად ზურაბ ცირამუა თეატრის პროფკომის თავმჯდომარე იყო)? გავეუარეთ სახლში.

— ე, ბიჭო, ზურია, ნატანებიდან დაგვირეკეს, მგონი, რაცა გლახა ამავეთ

ლეღეშვილს თავისი — შეაცოცხლა გიორგი კაკაბერიძემ ჩემი თავი პროფკომს.

— აუჰ, რას ლაპარაკობ, კაცო, წვედით სასწრაფოდ! — შიბრთვა ცირამუამ ყველა საქმე და ჩაგვისკურდა მანქანაში. სამტრედია რო უკან მოვიტოვეთ, მერე გავემუდგენეთ სიმართლე ზურაბს, მოცლა თავი, — ბიჭო, ხვალე პროფკომის კრება მაქვს თეატრში! — მარა, ვინ დაუჯერებდა? წავედით, ჩავედით, გოუხარდა მამაჩემ კახიანეს ჩემი დანახვა, გადასახა სამეზობლოს დღეაჩემმა და გეიშალა „ერთ მინუტში“ პურ-მარილი.

ვიქვიფეთ შუალამედ და ქე რო უნდა წაგვიძინებია, დასცხო მარა, რა დასცხო. წვიმდა სამი დღე გადუღებლად. წააცლიდა ყოველ ცისმარე კასიანე წალდით ჭრელ ქათამს თავს, ვუყურებდით აივნიდან ერთმანეთზე მიწოლილ გამშვარ ყანას სიმღერ-სიმღერით და წერდა გიორგი კაკაბერიძე „პახმელიაზე საპახმელიო“ ლექსებს: „აიათამი, ბაიათამი, კასიანე დაგვიკლა ჭრელი ქათამი“... და ა.შ.

ქალგაშეხულითა თიგმესუთარი

ცირამუას მეუღლე ადრე გარდაეცვალა და თუკი, ვინმეს თეატრში რამე უქმავოფილება მოუვიდოდა, ყველა ცირამუასთან აფარებდა თავს. ჩამოყალიბდა ახალი კლუბი არტისტებში „ქალგაშეხულითა თიგმესუთარი“. ერთი პერიოდით თავადე და კაკაბერიძე ცხოვრობდნენ ცირამუასთან, ქალგაშეხულმა ყოველ ღამე მის დაყენებულ ადესას და ამ წრუპა-წრუპაში, ქე დღეყვანეს თითქმის ყუბაე მოძებნა გამოსავალი ცირამუამ. კარის მშობლივად პროფკომის ბიჭი ცხოვრობდა, რეზო ლალიძე, „კრიშა“ ერთი ჰქონდა მათ სახლებს, მარა ეზო — თავთავისი. პოდა, ცირამუამ მოგვცა დავალება, — დამიწუნეთ, ბიჭებო, ღვინო, რეზოია რო შემოვალ! მოვიდა რეზო:



— რას გაგს, ბიჭო, ეს ღვინო, ამ ღვინოს რა გაღვევებს-თქვა — ვთქვი მე.

— წყალი რო არ დაგიშურებია, შაქარი მაინც დგემატებიანო! — თლათ მოულო ხელი კაკაბერიძემ. ვეღარ მეითმინა კახიძემ და შეეხვეწა ცირამუას შევალ:

— გემეზანე ერთი, დათათა, შენ შემოგვლე ორსთან, ათლიტრიანი მაქვს სუფთა ცოლიყაური და გამოგატანოსო.

ერთხელ, ორხელ, სამხელ რო გაგიმეორეთ ეს ერთი და იგივე სცენა, ახლა ცირამუას გაშაყრება გადავწყვიტეთ. მო-

წლიდან შეეჩვია, როცა განაწილებით ქუთაისის დრამატულ თეატრში მოხ-

ვდა და ისე შეიყვარა ჩვენი პატარა ქალაქი, ნატანები. მშობლები ცოცხალი ჰყავს, დედა 82 წლის და მამა 85-ის. მეუღლის, სამი ქალიშვილის და ორი შვილიშვილის ბაბუა ქუთაისის სატირისა და იუმორის თეატრის მსახიობიც გახლავთ. დრამასა და იუმორს ბუნებრივად უზამებს ერთმანეთს, როგორც ეს ნამდვილ არტისტს ხელეწიფება.

— იიფ, რა ღვინოა? — ვთქვი მე.

— აუ, რა კაი ღვინოა, ე, ბიჭო, საჭქონდა აქამდე დამალული? — იყითხა გიორგი.

— ზო, მქონდა, მქონდა. — შეეცვალა ფერი ცირამუას.

— ეუფ, სტეფანო, შენ გენაცვალე, ეს ანელოზივით ღვინოა, გეიხარე! — გადესხნა ვენები თავადემ და აქ კი გადაირია ცირამუა.

— გიორგი კაკაბერიძე და გიორგი ლეღეშვილი, თქვენი ფეხი ალარ ვნახო ჩემსასო! — შეეწირა იმ საღამოს ბოლო ათლიტრიანი ქიფს.

თეატრიდან გაქცეული სცენის მუშა

იშრა კაკაბერიძემ დადგა შადიმან შამადის „ლია შუშბანდი“. სპექტაკლში მთელ დეკორაციას მხოლოდ ოთხი სკამი შეადგენდა, რომელიც დაჯდომისას იშვებოდა და ხელახლა აწყობდა ოჯახის დიასახლისა, ე.ი. არმედიგარი ოჯახი იყო, სადაც სიღარიბისა და გაჭირვებისგან ყველაფერი ინგრეოდა. კაცი — ლათიო კაპანაძე, ვისაც ვთამაშობდი, სტამბაში მუშაობდა. ერთი სიტყვა — პასუხი უფარგოდა, ყველგან თამაშად პატივებდნენ და დღედაღამ მთვრალი მოდიოდა სახლში. სპექტაკლის სცენარის მიხედვით, ჭჭიში ენახულობდი ვიღაც უცნობს, დავავლებდი ხელს, ძალით მივათრევდი სახლში. დავალეგინებდი ღვინოს და მერე გავისტუმრებდი. ცოლი კი ბუზღუნებდა, — ეს ვინ მომიყვანე, სად ნახე?! უცნობის როლს აეთო სახამებრიძე თამაშობდა. ერთხელაც, ვთამაშობ მორიგ სპექტაკლს, მოვიდა სცენაზე ჩემი შესვლის დრო და სადა აეთოია? არ ჩანს არსად. არადა, ვილაცა უნდა შევათრიო მზან-სცენაში. გავიხიდე, დგას მისთვის, წყნარად, თეატრში იმ დღეს მოსული სცენის მუშა. ესტაცე ხელი, ამოვიღე ილიაში და შევათრიე სცენაზე.

— ვინ მომიტოვებ, კაცო ეს, რას შეგბი, ვინაა ეს? — მართლა! — გადაირია ჩემი პარტნიორი.

— სუ, ქალო, ხმა არ გეილო-თქვა, — მეც „მართლა“ ვუპასუხე. დავასხი ღვინო, ჩავასხი მუშას პირში, დავჭმუჭნე მერე ხელში მაგრად, ამოვარტყე პანდური და გავაგდე კულისებში.

ისეთი რეალური გამოვიდა ეპიზოდი, ტაშით კინლამ დანერგა დარბაზი. დამთავრდა წარმოდგენა და მოვივითხე მუშა, მაგრამ საღლა იყო? — ეს სად მოვედით, რა უბედურებააო! — გადავრულა საწყალი და უკანმოუხედავად გაქცეულა თეატრიდან. ახლაც არ ვიცი, ვინ იყო, იმ დღის მერე, თეატრს ვეიროდ ალარ გაყარებია.